პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 10 (12826)
კვირა, 12 იანვარი, 1964 წ.
ფასი 2 კაპ.

ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს 1964 წლის 10 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად შეტანილია საკითხი „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია სასუქების ფართო გამოყენების, მორწყვის განვითარების, კომპლექსური მექანიზაციისა და მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უსწრაფესი გადიდებისათვის".

მომხსენებლად დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **ი. პ. ვოლოვჩენკო.**

თანამომხსენებლები ამავე საკითხზე მოკავშირე რესპუბლიკებისაგან — სოფლის მეურნეობის მინისტრები.

დიდი ქიმიის ლაღი ფრთები

ჩვენი დიადი ცხოვრების, მისი სწორი და ნათელი გზის, ჭეშმარიტად მართალი, იმედიანი პერსპექტივების საგანძურში ამოდუღდა კიდევ ერთი მძლავრი ლენინური ჩანაფიქრი — სიუხვის წყაროსთვალი — მთელი სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია.

ეს ბუნებრივია. ატომისა და კოსმოსის დაპყრობის ეპოქაში ქიმიას უნდა გაეშალა ლაღი ფრთები. იგი ადამიანის ხელში უნდა ქცეულიყო სიუხვის, სილამაზის, სიკეთისა და ბედნიერების მძლავრ საშუალებად.

და დიდი ქიმიაც ზღაპრულ დევგმირივით გამოვიდა ასპარეზზე. მან იცის. რა ბუნების გარდაქმნის კეთილშობილური მისია, იკისრა გააკეთოს ყველაფერი ადამიანისათვის, მისი სიკეთისა და ბედნიერებისათვის.

მიმდინარე მომენტში პარტიამ პირველ პლანზე წამოსწია **სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია.** საერთო ამოცანად დაისახა: სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, ქიმიის ფართოდ დანერგვის საფუძველზე, შევქმნათ უახლოეს წლებში კვების პროდუქტების სიუხვე, მოვამზადოთ პირობები მატერიალური დოვლათის განაწილების კომუნისტურ პრინციპზე გადასვლისათვის.

ეს სოფლად ჭეშმარიტად რევოლუციური ძვრებია. აჰა, უბრალოდ რომ ვთქვათ, უნდა მოგვცეს ყოველ მიწის ნაკვეთზე ერთიორად მეტი მარცვალი, ისე, რომ ადრინდელზე ნაკლები შრომა დახარჯოს ადამიანმა.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს ამოცანა შესრულდეს?

უპირველეს ყოვლისა ის, რომ მასებმა, ჩვენმა გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანებმა კარგად შეისწავლონ ქიმიის პროდუქტების ყველაზე ეფექტიანად გამოყენება, დაიჭირონ მისი ძალა, გადალახონ უძრაობა და გულგრილობა მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენებისადმი.

ამჟამად გადაშლით თუ არა ახალ გაზეთს, მოისმენთ თუ არა რადიოგადაცემას, მიუჯდებით თუ არა ტელევიზორს, საბჭოთა ადამიანის გონებაში კვლავ ახალი ძალით იჭრება აზრები და ფიქრები დიდ ქიმიაზე. პარტიის მიერ დასახულ დიდ ამოცანებზე მსჯელობენ ახლა პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ კრებებზე, პოლიტწრეების მეცადინეობაზე, სალექციო აუდიტორიებში...

— აუდიტორია მინდორში, ფერმაში, — ასე გვწერს სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი. იმისათვის, რომ გონივრულად გამოიყენონ მინერალური და ორგანული სასუქები, შხამქიმიკატები, ჰერბიციდები და სხვა სახის ქიმიური მასალები, იმისათვის რომ კარგად იცოდნენ მათი თვისებები და შედგენილობა, ნიადაგში შეტანის წესები და დოზები, კოლმეურნეები აქტიურად მეცადინეობენ ქიმიის საყოველთაო-სახალხო სკოლებში, რის ინიციატორადაც რესპუბლიკაში სიღნაღის საწარმოო სამმართველო გამოვიდა.

ახლა სიღნაღელთა ამ თაოსნობას, რომელსაც მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სად არ გამოეხმაურნენ.

მხოლოდ იმ პირობით, თუ მშრომელთა ფართო მასებს ეცოდინებათ, რას გვაძლევს ქიმია, ეცოდინებათ ქიმიური გზით შექმნილი მასალების თვისებანი, საქმეში მათი უნარიანად გამოყენება, შევძლებთ გამოვიყენოთ მდიდარი შესაძლებლობანი, რომლებსაც ქიმია სახავს.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის დაიწყო მუშაობა სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის დაუსწრებელმა უნივერსიტეტმა, რომელიც გაზეთ „კომუნისტის" რედაქციასთან შეიქმნა და პირველი ლექცია უკვე მიაწოდა მკითხველებს.

ამ დღეებში მუშაობა დაამთავრა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელმაც განიხილა საკითხი „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები". აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის.

ამოცანები ნათელია. პარტიამ დიდი ქიმიის ყველა სიკეთე წარმართა ადამიანის საკეთილდღეოდ, იმისათვის, რომ დახვავდეს დოვლათი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ახლა მთავარია ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა ღრმად ჩასწვდნენ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ იდეები, რომლებსაც პლენუმის გადაწყვეტილებები შეიცავს, დაეუფლონ მასებს, რომ ყველა საბჭოთა ადამიანს ეს იდეები თავის ღვიძლ საქმედ მიაჩნდეს.

მძლავრი ქიმიური ინდუსტრიის შექმნა კომუნისტური მშენებლობის დამკვრელური ფრონტია, მთელი პარტიის, მთელი ხალხის საპატიო საქმეა.

გიგანტური გაქანება დიდი ქიმიისა ჩვენი სასიცოცხლო საქმეა. მასებამდე მივიტანოთ პლენუმის დადგენილების შთამაგონებელი სიტყვები — ეს არის პარტიული მუშაკების, პრესის, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების საპატიო მოვალეობა.

შევასრულოთ იგი ლენინურად — ასეთია ამოცანა.

აზერბაიჯანის კპ XXVI ყრილობა

ბაქოში მუშაობა დაამთავრა აზერბაიჯანის კომპარტიის XXVI ყრილობამ. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა, და დელეგატების სიტყვებში შეჯამებული იყო ის შესანიშნავი შედეგები, რომლებსაც აზერბაიჯანის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიეს უკანასკნელი ორი წლის მანძილზე.

ყრილობამ აირჩია აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ ო. დ. გოცირიძემ.

შრომითი საჩუქრები

მანქანათმშენებლები დაწინაურდნენ

რიტმულად, გამართულად დაიწყო ახალი სამეურნეო წელი თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ყოველდღიურად აძლიერებს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას. მანქანათმშენებლებმა პირველი წარმატება უკვე მოიპოვეს — იანვრის პირველი დეკადის გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს და ახალი წლის მარკით უკვე ხუთი წნეხი გამოუშვეს.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მექანიკური და ამწყობი საამქროები, რომლებსაც ვ. ბაღდასაროვი და ა. არუთინოვი ხელმძღვანელობენ. შრომისმოყვარე კოლექტივებმა პირველი დეკადის გეგმა 102 პროცენტით გაანაღდეს და იძლევიან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის მიმდინარე წელს ქარხნის კოლექტივს გათვალისწინებული აქვს განახორციელოს მთელი რიგი ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ პლასტიკური მასების ფართოდ დანერგვას წარმოებაში.

პლასტიკური მასებისაგან და კაპრონისაგან აქ უკვე ამზადებენ რამდენიმე ათეული დასახელების დეტალს. შარშან მარტო ყურძნის გადასამუშავებელ ტუმბოებში პლასტიკური მასალებისაგან დამზადებული დეტალების გამოყენების გზით დაზოგილ იქნა 10 ტონაზე მეტი ფერადი ლითონი, თითბერი, ბრინჯაო, მიღწეულია აგრეთვე შავი ლითონების დიდი ეკონომია.

ქიმიის ფართოდ გამოყენება დიდად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, მკვეთრად გააუმჯობესებს წარმოების ეკონომიურ მაჩვენებლებს.

ახალი საამქრო

ტყიბული. (საკ. კორ.). ახალი წლის პირველ დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს ქალაქის მცხოვრებლებმა. აქ დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ნახევარფაბრიკატების ახალი საამქრო.

ნახევარფაბრიკატების საამქრო ქალაქის მცხოვრებლებს და საზოგადოებრივი კვების ქსელს უხვად ამარაგებს ხორცით, თევზით და საკონდიტრო ნაწარმით.

ბათუმური მარკით

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმური მარკის მანქანა-დანადგარებს საყოველთაო მოწონება აქვთ. მარტო ახალი წლის წინა დღეებში ბათუმური ელექტროხელსაწყოები გაიგზავნა საზღვარგარეთის თერთმეტ ქვეყანაში, მათ შორის მოდერნიზებული ავტოტრანსფორმატორები გაიგზავნა ბულგარეთში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ერაყში, ინდოეთში, ინდონეზიაში, აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებში — სომალში, განასა და გვინეაში, თავისუფლების კუნძულზე — კუბაზე და სხვ.

ქარხანა „ელექტროხელსაწყოს" კოლექტივი წინასაყრილობო შრომით ვახტზე დადგა და გადაწყვიტა იანვრის დავალების გადამეტებით გამოუშვას ათასი ცალი ავტოტრანსფორმატორი. ასევე მნიშვნელოვნად გაიზრდება საექსპორტო დაკვეთები.



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი აგრონომიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვემო აკეთის კოლმეურნეობის მეჩაიე ციური ასათიანი (მარჯვნივ) და ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობის მემინდვრე ნუგზარ მაქაცარია, რომლებმაც იკისრეს უხელმძღვანელონ აგროქიმიის სწავლებას თავიანთი სოფლების კოლმეურნეობებში.

ფოტო ს. ლეჟავასი.

თებერვლის ანგარიში

შვიდწლედის მეექვსე წლის პირველი დეკადა ახალი შრომითი გამარჯვებებით აღინიშნა ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროებში. აქ განსაკუთრებით ისახელა თავი შურდოს უბნის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ვახტანგ ლაცაბიძე ხელმძღვანელობს. კოლექტივი აქატის მოპოვების ყოველდღიურ დავალებას 170-180 პროცენტით ასრულებს.

კიდევ უფრო მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დაიწყეს მიმდინარე წელი დიატომიტის მომპოვებლებმა.

აქატ-დიატომიტის მაღაროთა კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სასახელო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. მისი ვალდებულებაა ყრილობის გახსნის დღისათვის გადაჭარბებით შეასრულოს თებერვლის დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 700 ტონა დიატომიტი. (საკ. კორ.).



მეშვიდეჯერ გამარჯვებული

მარნეული. (საკ. კორ.). მორიგი წარმატება მოიპოვა „საქშახტმშენის" ტრესტის „მადნეულმშენის" სამმართველოს კოლექტივმა. მშენებლობის წლიური გეგმა აქ შესრულებულ იქნა 101 პროცენტით. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შრომის ნაყოფიერება.

ამ წარმატებების მოპოვებისათვის მშენებლობის კოლექტივმა დაიმსახურა პირველი ფულადი პრემია და მეშვიდეჯერ შეინარჩუნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ სასიხარულო ცნობასთან დაკავშირებით მშენებლებმა აიღეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი. იანვრის პირველი დეკადის დავალება აქ დიდი გადაჭარბებით იქნა შესრულებული. განსაკუთრებით მაღალ წარმატებებს აღწევენ ბინათმშენებლები, რომლებსაც გამოცდილი მშენებელი ინჟინერი გ. პატარიძე ხელმძღვანელობს.

ვალტერ ულბრიხტი მოსკოვში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით 1964 წლის 10-11 იანვარს მოსკოვში არაოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი.

მოსკოვში ყოფნის დროს ამხანაგი ვ. ულბრიხტი ესაუბრა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხვა წევრებს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. საუბარი განსაკუთრებით გულთბილ და გულითად ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ამასთან გამოირკვა შეხედულებათა სრული ერთობა ყველა განხილულ საკითხში.

სასიხარულო ცნობები

☐ **ლენინგრადის** სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხანაში დამთავრდა 20 ათასი კილოვატი სიმძლავრის მეორე ჰორიზონტალური კაფსულის ტურბინის დამზადება ჩერეპოვეცის ვოლგა-ბალტის ჰიდროელექტროსადგურისათვის. ტურბინი და გენერატორი, რომლებიც მოთავსებულია ერთ კაფსულში, გამოიმუშავებენ მეტ ენერგიას, ვიდრე თანაბარი სიმძლავრის ჩვეულებრივი ჰიდროაგრეგატები.

☐ ჩვენს ქვეყანაში ყველა შესადუღებელი სამუშაოს ნახევარი წარმოებს ვილნიუსის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხნის მარკის აპარატურით. საწარმოს კოლექტივმა მიაღწია წარმოების მოცულობის იმ დონეს, რაც დაგეგმილი იყო შვიდწლედის ბოლოსათვის.

☐ **უკანასკნელი,** ოცდამეათე მილიონი მანეთი მიღებულია შვიდწლედის დასაწყისიდან მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის ნოვატორთა რაციონალიზატორული წინადადების დანერგვის შედეგად. მათ პირობა დადეს შვიდწლედის განმავლობაში სახელმწიფოს ამდენი დაუზოგონ. შვიდწლედის ბოლომდე დარჩენილი ორი წლის მანძილზე კომბინატის რაციონალიზატორებმა ვალდებულება იკისრეს რუსეთის მილიარდების ანგარიშში შეიტანონ კიდევ სულ ცოტა თხუთმეტი მილიონი მანეთი.

მოლდაველთა წარმატება

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც კმაყოფილებით აღნიშნავენ მოლდაველ მეთამბაქოეთა დიდ წარმატებას. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა 1963 წელს ვალდებულებით გათვალისწინებული 30 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 36,1 ათასი ტონა თამბაქო — 20 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1962 წელს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ მოლდავეთის სოფლის მეურნეობის მუშაკები მიმდინარე წელსაც მოიპოვებენ შემდგომ წარმატებებს და ახალი შრომითი გამარჯვებებით გაახარებენ სამშობლოს. (საკდესი).

ბროშურად გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებისადმი

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოსცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის 1963 წლის 31 დეკემბრის წერილი მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებისადმი, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული დავის საკითხს და მისი მოწესრიგების ღონისძიებებს.

ბროშურა გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

ჩვენს დიად
სამშობლოში

პანამის ამბები

დაძაბული მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). საინფორმაციო სააგენტოთა ცნობით, მდგომარეობა პანამაში კვლავ დაძაბულია. პანამაში გრძელდება ამერიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. ამერიკელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც პანამის არხის ზონის საზღვრის გასწვრივ არიან განლაგებული, გუშინ საღამოს კვლავ ცეცხლი დაუშინეს პანამის მცხოვრებლებს. არიან დაჭრილნი.

მთელ პანამაში დახრილია პანამის ეროვნული ალმები იმის ნიშნად, რომ აქ გლოვობენ ამერიკის ჯარების რეპრესიის მსხვერპლთ, რომელიც ახალგაზრდობის დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ მოახდინეს 9 იანვარს.

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც განიხილავს პანამის საჩივარს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო.

პანამამ მოითხოვა, რომ ან განხორციელდეს პანამის არხის ნაციონალიზაცია, ან საერთაშორისო კონტროლი გაეწიოს მას.

ამშ საელჩოს ევაკუაცია

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო იუწყება, დემონსტრანტების შეტაკება ამერიკის ჯარებთან მიმდინარეობს უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ახლოს პანამასიტიში. ამერიკის დიპლომატები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ საელჩოს შენობა. მათ წინასწარ მოსპეს ყველა საიდუმლო დოკუმენტი და კოდები.

არასრული ცნობებით, ორი დღის განმავლობაში შეტაკებებში დახოცილთა რიცხვმა 20 კაცს მიაღწია, დაჭრილია 224 კაცი.

„ბრალი ამერიკის შეერთებული შტატების არმიას მიუძღვის"

ლონდონი, 11 იანვარი. (საკდესი). ნიუ-იორკის რადიომაუწყებლობის კომპანიისათვის ტელეფონით მიცემულ ინტერვიუში პანამის პრეზიდენტმა ჩიარიმ მოუწოდა პანამაში მყოფ ამერიკის ჯარებს შეწყვიტონ ცეცხლი პანამის მცხოვრებთა წინააღმდეგ, იუწყება ნიუ-იორკიდან რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი. პასუხად კითხვისა, სტუდენტებმა ხომ არ გამოიწვიეს ინციდენტები პანამაში, ჩიარიმ თქვა: „შესაძლოა ზოგიერთ მათგანს მიუძღოდეს ბრალი, მაგრამ ყველაზე დიდი ბრალი ამერიკის შეერთებული შტატების არმიას მიუძღვის".

ორანში სიმშვიდეა

ალჟირი, 10 იანვარი. (საკდესი). ცხოვრება ორანში კვლავ ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. სავსებით აღმოფხვრილია შედეგები კონტრრევოლუციური დემონსტრაციისა, რომელიც ამას წინათ მოაწყვეს.

ორანის მდგომარეობის საკითხი გუშინ განიხილეს ბენ ბელას თავმჯდომარეობით მინისტრთა საბჭოს სხდომაზე. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სამუშაო მისცენ დამატებით 27 ათას მუშას, დაუსაქმებელი მოსახლეობა ჩააბან ტყის გაშენებაში, რისთვისაც ასიგნებულია 250 მილიონი ფრანკი.

მზადება ატომური იარაღის გამოცდისათვის

პარიზი, 10 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის უპორტფელო მინისტრი გასტონ პალევსკი, რომელიც მეცნიერული კვლევის საქმეებს განაგებს, დღეს პარიზიდან გაფრინდა საფრანგეთის წყნარი ოკეანის ატომურ ექსპერიმენტულ ცენტრში, სადაც უკვე იმყოფება საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრი პიერ მესმერი. პალევსკის განზრახული აქვს საინსპექციო მოგზაურობა მოაწყოს ოკეანის კუნძულებზე, სადაც ფრანგი სპეციალისტები გამოსაცდელად ამზადებენ ატომურ იარაღს.

თეთრი სახლის განცხადება

ვაშინგტონი, 11 იანვარი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა თეთრი სახლის განცხადება პანამის არხის ზონაში მდგომარეობის შესახებ. პრეზიდენტმა ჯონსონმა, ნათქვამია განცხადებაში, მტკიცე მითითება მისცა ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდალს კარიბის ზღვის რაიონში გენერალ ო' მირას ყოველი ღონე იხმაროს არხის ზონაში მშვიდობისა და უშიშროების აღდგენისა და დაცვისათვის. მან ცნობად მიიღო პანამის პრეზიდენტის ჩიარის მიმართვა პანამის მოქალაქეებისადმი მონაწილეობა მიიღონ მშვიდობის აღდგენაში, და თავის მხრივ ანალოგიური მოწოდებით მიმართავს არხის ზონის მცხოვრებლებს.

აი ისინი, ამერიკელი ჯარისკაცები პანამაში.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). გვიან ღამით დაამთავრა უშიშროების საბჭომ პანამის არხის ზონაში შექმნილი საშიში მდგომარეობის საკითხის განხილვა, რომელიც წარმოიშვა პანამის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ აგრესიასთან დაკავშირებით.

საბჭომ ურჩია ბრაზილიის წარმომადგენელს ხუსტინიანის, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, მოუწოდოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და პანამის მთავრობებს განახორციელონ ღონისძიებანი ცეცხლისა და სისხლისღვრის შეწყვეტისათვის.

პანამამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც პანამიდან იუწყებიან, პანამის საგარეო საქმეთა მინისტრმა გალილეო სოლისმა გაუგზავნა დეპეშა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს დინ რასკს, რომელშიც აცნობა, რომ პანამა წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან.



საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობა ურღვევია

ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლა კუბის ტელევიზიით

ჰავანა, 10 იანვარი. (საკდესი). კუბის რევოლუციის გამარჯვების ხუთი წლისთავის დღესასწაულზე კუბაში ჩამოსული საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი გუშინ საღამოს გამოვიდა ჰავანის ტელევიზიით. ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლას მთელ კუბაში გადასცემდნენ.

სიტყვის დასაწყისში ნ. ვ. პოდგორნიმ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით კუბელებს გადასცა მხურვალე, ძმური სალამი და გულითადად მიულოცა მათ სახელოვანი კუბის რევოლუციის ხუთი წლისთავი.

იმ დღეებმა, რომლებიც დელეგაციამ თქვენს ქვეყანაში გაატარა, თქვა ნ. ვ. პოდგორნიმ, ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. ყველაზე დიდი, ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება, რომელსაც შინ, სამშობლოში წავიღებთ, ეს არის შთაბეჭდილება კუბელი ხალხის, მისი რევოლუციური ენთუზიაზმის, მჩქეფარე ენერგიის შესახებ, ეს არის შთაბეჭდილება იმ ხალხის შესახებ, რომელმაც მოახდინა რევოლუცია, დაიცვა იგი მტრების თავდასხმისაგან და ახლა ახალ ცხოვრებას აშენებს.

კუბელმა ხალხმა, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ვ. პოდგორნიმ, პირველმა დასავლეთ ნახევარსფეროში, მოიშორა იმპერიალიზმის უღელი. მან კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ არის ძალა, რომელსაც წინ ვერ აღუდგებიან მშრომელი ხალხის მტრები. ეს ძალაა მშრომელთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ხალხის მისწრაფება იცხოვროს უექსპლოატატოროდ. ეს ძალაა სოციალისტური რევოლუცია. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის საქმე, ამაყობს თქვენით, კუბის მამაცო შვილებო.

ჩვენი დელეგაცია, განაგრძო ნ. ვ. პოდგორნიმ, გაეცნო ჰავანას, იყო კუბის ყველა პროვინციაში. ყველგან ვნახეთ, თუ რა სასწაულებრივად გარდაქმნა თქვენი ქვეყნის ცხოვრება რევოლუციამ.

ნ. ვ. პოდგორნიმ შემდეგ აღნიშნა სსრ კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების წარმატებანი და მიღწევანი კომუნისტურ და სოციალისტურ მშენებლობაში, სოციალიზმის ეკონომიური ძლიერების ზრდა, ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნები კუბაში.

სოციალიზმის გზა, თქვა ნ. ვ. პოდგორნიმ, როგორც ამას მოწმობს საბჭოთა კავშირის მაგალითი, შესანიშნავი წარმატებანი, რაც მოიპოვეს კუბამ და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა, ერთადერთი გზაა, რომელსაც მშრომელი ხალხი მიჰყავს პროგრესისა და ბედნიერებისაკენ. აი რატომ გახდა სოციალისტური კუბა ჩაუქრობელი შუქურა ლათინური ამერიკის ყველა ჩაგრული ხალხისათვის.

საბჭოთა კომუნისტები ამაყობენ იმით, რომ კუბის რევოლუციამ მიიღო დიდი ოქტომბრის ესტაფეტი. საბჭოთა ხალხსა და კუბას ყოფს ზღვები და კონტინენტები, მაგრამ ამის მიუხედავად ისინი ერთად მიდიან, მტკიცედ გრძნობენ ურთიერთმხარდაჭერას. ისინი სამუდამოდ დააკავშირა მარქსისტულ-ლენინური იდეებისა და მიზნების ერთიანობამ.

ახლა, როდესაც არსებობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, იმპერიალიზმი უძლურია შეაჩეროს ხალხთა რევოლუციური მოძრაობა. ამის მკაფიო მაგალითია სოციალისტური კუბის არსებობა, რომელსაც მხარს უჭერს სოციალისტური ქვეყნების მთელი დიადი ოჯახის ძლიერება.

ნ. ვ. პოდგორნი შემდეგ შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების ხრიკებს რევოლუციური კუბის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული მილიტარისტული წრეები, თქვა მან, შიშით თრთიან შეერთებულ შტატებთან შედარებით მეტად პატარა ქვეყნის — რევოლუციური კუბის წინაშე. რით აშინებს მათ კუბა? განა შეიძლება კუბა, რომლის მოსახლეობა შვიდ მილიონზე ცოტა მეტია, დაემუქროს 190-მილიონიან ამერიკის შეერთებულ შტატებს?

ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ მილიტარისტული აგრესიული წრეები შიშით თრთიან ნათელი, მკაფიო კომუნისტური იდეების წინაშე, რომლებიც გამოხატავენ არა მარტო კუბელი ხალხის, არამედ ყველა მშრომელის, რომლებიც ჯერ კიდევ მემამულეებისა და კაპიტალისტების ექსპლოატაციის მძიმე უღლის ქვეშ იმყოფებიან, საარსებო მისწრაფებებს. მილიტარისტული აგრესიული წრეები შიშით თრთიან მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების წინაშე, რომლებსაც სოციალისტური ქვეყნების ხალხები ახორციელებენ ყოველდღიურ რევოლუციურ პრაქტიკაში.

სწორედ ამიტომ იმპერიალისტებს თვალი უჭირავთ რევოლუციურ კუბაზე. საჭიროა გაიგოთ, ბატონო იმპერიალისტებო, რომ ახლა სხვა დროა და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ!

შეერთებული შტატების აგრესიულ მილიტარისტულ წრეებს სურთ მოსპონ რევოლუციური კუბა. მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვამბობთ: ბატონო აგრესორებო, ფრთხილად იყავით! კუბა მარტო როდია. ვსარგებლობ შემთხვევით, რათა კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირი ლხინშიც და ჭირშიც კუბის გმირ ხალხთან არის.

დასასრულ ნ. ვ. პოდგორნიმ თქვა: ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო და ძმებო! საბჭოთა ხალხი თქვენთან ერთად ერთი გზით მიდის. ჩვენ ვამაყობთ მეგობრული ურთიერთობითა და ძმური თანამშრომლობით, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა და წარმატებით ვითარდება. საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობა იმ ურთიერთობის მაგალითია, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ნამდვილი თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების ლენინური პრინციპები.

ნ. ვ. პოდგორნიმ გამარჯვება უსურვა სახელოვან კუბის რევოლუციას, სოციალიზმის მშენებელ გმირ კუბელ ხალხს, კუბის რევოლუციის ბელადს ფიდელ კასტროს, საბჭოთა კავშირისა და კუბის ურღვევ მეგობრობასა და ძმობას, მარქსიზმ-ლენინიზმს.

მძლავრი ქიმიური ინდუსტრიის შექმნა კომუნისტური მშენებლობის დამკვრელური ფრონტია

პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მეცნიერულ საფუძველზე რევოლუციური გაქანებით წყვეტს კომუნისტური მშენებლობის პრობლემებს. ამის ახალი დამაჯერებელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, რომელმაც ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის გრანდიოზული პროგრამა მიიღო. კომუნისტებსა და ყველა მშრომელს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი პირველხარისხოვანი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ მიაჩნიათ. ეს გადაწყვეტილებანი მიაჩნიათ ხალხის მატერიალური სიკეთის სიუხვის შექმნის საშუალებად.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“, ცხადყო, რომ რესპუბლიკის პარტორგანიზაციას, ყველა მშრომელს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი თავიანთი ძალღონე და ენერგია მოახმარონ სახალხო მეურნეობის გეგმების, ქიმიური ინდუსტრიის განვითარების გეგმების პრაქტიკულ განხორციელებას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისათვის მზადებამ, პლენუმის მუშაობამ და ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც ამ პლენუმმა მიიღო, — თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა, — ახალი შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის დედაქალაქის საწარმოებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში. დღეს მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ წარმატებით ხორციელდება ვალდებულებანი, რომლებიც თბილისის მშრომელებმა იკისრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის აღსანიშნავად.

ამხ. ლოლაშვილმა მოიყვანა ციფრები და ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ თბილისელთა შრომით გამარჯვებებს. მან აღნიშნა ის წვლილი, რომელიც საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარების დიად საერთო-სახალხო საქმეში. ეს წვლილი თვიდან-თვემდე იზრდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წლის) პლენუმის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ გაგვეზარდა და განგვევითარებინა ჩვენი ქალაქის პოტენციალი, ქიმიისათვის გვეზიარებინა საწარმოები და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები.

თბილისის მრეწველობა წარმატებით ასრულებს ჩვენი ქვეყნის დიდი ქიმიის მშენებლობათა და საწარმოთა შეკვეთას. გასულ წელს დიდი ქიმიის შეკვეთები შეასრულეს და თავისი პროდუქცია გააგზავნეს ობიექტებს კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანამ, ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის ქარხანამ და სხვა საწარმოებმა. ქალაქის საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს რუსთაველ ქიმიკოსთა ყველა შეკვეთა.

მძლავრი ქიმიური ინდუსტრიის შექმნაში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს მეცნიერებამ. ამ მხრივ ნაყოფიერი კვლევით მუშაობა წარმოებს თბილისის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში. მათ შორის წამყვანი ადგილი უჭირავთ მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტსა და გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტს. ბევრი თეორიული გამოკვლევა, რომლებიც ამ ინსტიტუტების კოლექტივებმა შეასრულეს, პრაქტიკულად განხორციელდა ჩვენი ქვეყნის საწარმოებში.

სულ უფრო იზრდება თბილისის როლი იმ საქმეში, რომ ზუსტი ხელსაწყოებით აღჭურვოს ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობა. თანამედროვე ხელსაწყოთმშენებლობის ამ ახალგაზრდა და მეტად პერსპექტიულ დარგში წარმატებით მუშაობს თბილისის ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიურო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობის დღეებში მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოეწყო თემატური გამოფენა „ავტომატიზაციის ხელსაწყოები და საშუალებანი ქიმიური მრეწველობისა და ქიმიური მანქანათმშენებლობისათვის“. გამოფენის ექსპონატებს შორის იყო ქიმიური საწარმოებისათვის, სოფლის მეურნეობისა და მეცნიერული კვლევისათვის საჭირო 30-ზე მეტი სამრეწველო ხელსაწყო, რომლებიც ჩვენმა კონსტრუქტორებმა შექმნეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შემდეგ ჩვენმა კონსტრუქტორებმა დიდი აღფრთოვანებით მოჰკიდეს ხელი ახალი ხელსაწყოების შექმნას, მათ შორის ისეთი ხელსაწყოების შექმნას, რომლებიც საჭიროა ვისკოზის ხელოვნური ბოჭკოს საწარმოებისათვის, მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოებისათვის.

ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა ქიმიურ საწარმოთა გამსხვილება და სპეციალიზაცია, რომ ამჟამად არსებულმა საწარმოებმა მაქსიმალურად გამოიყენონ დიდი ქიმიის პროდუქტები, სადაც ეს შესაძლებელია, ძვირადღირებული ნედლეულისა და მასალების ნაცვლად გამოყენებულ იქნას უფრო იაფი და ხარისხოვანი ქიმიური შემცვლელები.

ეკონომიკის წამყვანი დარგების ფართო ქიმიზაციას, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა გაითვალისწინა უახლოესი შვიდი წლისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, თქვა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ი. დავითაძემ. ავტონომიურ რესპუბლიკაში არის რამდენიმე ქიმიური და ნავთობგადასამუშავებელი საწარმო, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ქიმიური მრეწველობის განვითარებაში.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში წარმოებს საამქროთა რეკონსტრუქცია, შენდება ჩვენს ქვეყანაში პირველი აბსორბციული დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს ზეთების მაღალხარისხოვან გაწმენდას და მოგვცემს ძვირადღირებული რეაგენტების დიდ ეკონომიას.

ქარხანაში იმისათვის ხელშემწყობი პირობებია, რომ მოვაწყოთ ეთილენისა და პროპილენის წარმოება, რომლებიც ძირითადი ნედლეულია პლასტიკური მასების, სინთეზური სპირტისა და სხვა ნავთობქიმიური პროდუქციის წარმოებისათვის.

იმ საწარმოთა მწყობრში, რომლებიც ძვირფას სამკურნალო პრეპარატებს ამზადებენ, დგას ბათუმის კოფეინის ქარხანა. შვიდწლედის დამდეგიდან ამ ქარხანაში ათვისებულია 19 ახალი პრეპარატი, რომლებსაც ადგილობრივი ნედლეულისაგან ამზადებენ. ამ პრეპარატებს წარმატებით იყენებენ სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. ქარხნის ძირითადი პროდუქცია — კოფეინი — მზადდება ჩაის ბუჩქების სხვლის ნარჩენებისაგან. ახლა საწარმოს კოლექტივი მთელ ძალღონეს ახმარს იმას, რომ მაქსიმალურად გაადიდოს კოფეინის წარმოება. ქარხნის დაწყებული რეკონსტრუქცია შეუწყნარებლად ჭიანურდება სამშენებლო ორგანიზაციების მიზეზით. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი საჭირო დასკვნებს გამოიტანენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და დააჩქარებენ სამუშაოებს.

თავის გამოსვლაში ამხ. დავითაძემ ილაპარაკა იმ მუშაობის შესახებ, რომელიც ტექნიკური რეზინის ნაწარმის ქარხანაში მიმდინარეობს ქიმიური პროდუქციის ასორტიმენტის გასაფართოებლად. მან აღუთქვა აქტივის მონაწილეებს, რომ აჭარის მშრომელები თავიანთ ძალღონეს მოახმარენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებასა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციაში.

სიტყვას ამბობს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **მ. თ. ბღაჟბა.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, თქვა მან, ჩვენი პარტიის ისტორიაში შევა როგორც უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე, რასაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება უაღრესად კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს აფხაზეთის მრავალდარგოვანი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც.

სუბტროპიკული მიწათმოქმედების შემდგომი აღმავლობა მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული მინერალური სასუქების გამოყენებასთან.

პარტიისა და მთავრობის დიდი დახმარებით, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის, აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა 1963 წელი აღნიშნეს ჩაის, ციტრუსებისა და სხვა ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკას მეტად ხელსაყრელი პირობები აქვს ჩაის, ციტრუსების, ყურძნისა და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოების გასადიდებლად. მაგრამ ამ საქმის წარმატება, ამბობს ამხ. ბღაჟბა, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, სწორად და საკმაოდ ვიყენებთ თუ არა მინერალურ სასუქებს. მაგალითად, მარტო მინერალური სასუქების გამოყენების გზით ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა გადიდდება 5-8-ჯერ იმ პლანტაციებთან შედარებით, რომლებიც სასუქით არ გაპოხიერებულა.

აფხაზეთის მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში იციან მინერალური სასუქების სწორი და რაციონალური გამოყენება. გალის საწარმოო სამმართველოს შეშელეთის კოლმეურნეობაში, მაგალითად, სასუქი ჩაის პლანტაციების ნიადაგში შეაქვთ იმის ზუსტი გათვალისწინებით, თუ როგორია მისი სტრუქტურა. ჩაის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე აქ 5.037 კილოგრამს მიაღწია.

უნარიანად იყენებენ სასუქებს აგრეთვე გუდაუთის საწარმოო სამმართველოს დურიფშის კოლმეურნეობაში. ამის მეოხებით არტელმა საშუალოდ ჰექტარზე 5.732 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოიყვანა. მინერალური სასუქების სწორი გამოყენება ისწავლეს ჩვენმა მოწინავე მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმაც.

გამოცდილება გვიჩვენებს, აღნიშნავს ამხ. ბღაჟბა, რომ მინერალური სასუქების, სარწყავი საშუალებების სწორი გამოყენებისა და პლანტაციების დაჩულვის დანერგვის გზით აფხაზეთში ჩაის ფოთლის მოსავლიანობა უახლოეს წლებში შეიძლება გაორკეცდეს, ხოლო ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავალი არსებულ მოსავალთან შედარებით 2-3-ჯერ გადიდდეს.

გამოსვლაში აღძრული იყო საკითხები, რომლებიც ეხება მინერალური სასუქების, მავნებლებისა და დაავადებისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვის საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის გადიდებას. ორატორმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ გაიშალა მუშაობა იმისათვის, რომ აგროტექნიკური ცოდნით აღჭურვონ სოფლის მეურნეობის მშრომელები, იმაზე, თუ როგორ უწევენ პროპაგანდას დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს მშრომელთა ფართო მასებში.

უმაგალითო შესაძლებლობანი ისახება სოფლის მეურნეობის წინაშე, რომლის განვითარებასთანაც, როგორც ცნობილია, უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის კეთილდღეობა. ქიმიის დანერგვა რევოლუციას მოასწავებს მიწათმოქმედებაში, იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოება ინტენსიურად წარვმართოთ, მოვიყვანოთ მარცვლისა და ტექნიკური კულტურების მყარი მოსავალი.

იმაზე, თუ როგორ მუშაობენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრები ნიადაგზე სასუქების გავლენის შესწავლის საქმეში, ილაპარაკა ამ უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა პროფესორმა **ი. ფ. სარიშვილმა.** სასუქების სისტემატური გამოყენება დიდ ცვლილებებს იწვევს ნიადაგში, ბევრად ადიდებს მასში საკვებ ნივთიერებათა რაოდენობას, რაც საჭიროა მცენარეთა განვითარებისათვის. მთავარია სასუქი ნიადაგში შევიტანოთ არა ალალბედზე, როგორც ეს წინათ ხდებოდა, არამედ გავითვალისწინოთ ის, თუ მცენარისათვის რამდენი საკვები ნივთიერებაა საჭირო. ამისათვის ზუსტად უნდა დავიცვათ აგროქიმიური კარტოგრამები. თუ ნიადაგში საკმაო რაოდენობით გროვდება მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერება, სასუქის შემდგომი შეტანა არათუ ეფექტს არ მოგვცემს, არამედ შეიძლება კიდევაც შეამციროს მოსავალი.

აგროქიმიური კარტოგრამების გამოყენება საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ დიდძალი მინერალური ნედლეული. ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გამოცდილებით, მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ სასუქის ასეთი ეკონომიური გამოყენება კი არ ამცირებს, არამედ შესამჩნევად ზრდის მოსავალს.

მიუხედავად იმისა, რომ აგროქიმიური კარტოგრამების მნიშვნელობა უდავოა, ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება თითქმის არაფერს არ აკეთებს კარტოგრამების შესადგენად. არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ხელს უშლიან კარტოგრამების დანერგვას წარმოებაში.

ორატორს საჭიროდ მიაჩნია, რომ სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სისტემაში შედიან, უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში აგროქიმიური კარტოგრამების დანერგვა. ამისათვის საჭიროა უახლოეს დროში შევიმუშაოთ აგროქიმიური დარაიონების სწრაფი და მარტივი მეთოდები, შევისწავლოთ აგროქიმიური კარტოგრამების შედგენისა და გამოყენების მეთოდური ხასიათის საკითხები.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჰერბიციდების გამოყენებას, დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში აგრონომის როლის ამაღლების საკითხებს.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია, თქვა გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა **ი. ა. ტოლიაშვილმა,** ჩვენთვის უწინარეს ყოვლისა ნიშნავს ისეთი კულტურების წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას, როგორიც არის მარცვლეული, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, ხილი და ყურძენი. არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, სამმართველოს მშრომელებმა შარშან მარცვლის, შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეულის უხვი მოსავალი მოიყვანეს. მათ სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 23 ათასი ტონა მარცვალი, თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის მიერ შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულებაში.

მაგრამ ეს წარმატებანი შეიძლებოდა მნიშვნელოვნად მეტი ყოფილიყო, ჩვენს მეურნეობებს საჭირო რაოდენობით რომ ჰქონოდათ მინერალური სასუქები. შარშან, მაგალითად, მხოლოდ სანახევროდ დაკმაყოფილდა მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე, ამან, ბუნებრივია, შეამცირა ხეხილის ბაღებისა და ვენახების მოსავლიანობა.

მაგრამ მთავარი სასუქები როდია. მთავარია მათი სწორად გამოყენება. ბევრი მეურნეობა, მაგალითად, სოფლების ფლავის, ზერტის, ქარელის, კოლმეურნეობები, ხურვალეთისა და კარალეთის საბჭოთა მეურნეობები მეტად რაციონალურად იყენებენ სასუქებს, რამაც უზრუნველყო მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი. სოფელ ფლავში შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 54 ცენტნერი სიმინდი, 14,5 ცენტნერი ხორბალი, 900 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და 168 ცენტნერი ბოსტნეული. ამავე დროს მეზობელი სოფლების ტყვიავისა და ქვეშის კოლმეურნეობები, რომლებსაც ნიადაგისა და ჰავის ერთნაირი პირობები აქვთ, მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ სოფელ ფლავის კოლმეურნეობას. ეს იმით აიხსნება, რომ ამ მეურნეობების ნიადაგში საჭირო რაოდენობით არ იყო შეტანილი მინერალური სასუქები.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მინერალური სასუქების დროულად შეტანა. სამმართველოს მეურნეობებმა აზოტოვანი სასუქები გასული წლის ოქტომბერსა და ნოემბერში მიიღეს, მაშინ როცა ამ პერიოდში მათ სუპერფოსფატები ესაჭიროებოდათ.

წელს საწარმოო სამმართველომ უნდა მიიღოს ერთიორად მეტი მინერალური სასუქები, ვიდრე შარშან მიიღო. რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ უნდა იზრუნოს მინერალური სასუქების საწყობების მშენებლობისათვის.

აქტივის მონაწილეებმა მოიყვანეს მაგალითები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ მინერალური და ორგანული სასუქების სწორი გამოყენებით აგროტექნიკის მტკიცედ დაცვით შეიძლება უხვი და მყარი მოსავლის მიღება. სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჯაფარიძის არტელის კოლმეურნეებმა, თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ნ. ს. ყოჩიაშვილმა,** გასული სამეურნეო წელი მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს მნიშვნელოვნად მეტი მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. 2.027 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 29,5 ცენტნერი ხორბალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20,2 ცენტნერისა. კიდევ უფრო უხვი მოსავალი მიიღეს იმ ნაკვეთებზე, რომლებშიც შეტანილი იყო მინერალური და ორგანული სასუქები. დიდი ეფექტი მოგვცა ჰერბიციდების გამოყენებამაც.

ჯაფარიძელი კოლმეურნეები ღრმად სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალებს. მათ ვალდებულება იკისრეს წელს მნიშვნელოვნად გაადიდონ თავთავიანი და სათოხნი კულტურების მოსავლიანობა, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, უფრო თამამად დანერგონ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, შეამცირონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დანახარჯები.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე სასუქების წარმოების გადიდება კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა უწოდა. ამ საქმეში მცირე როლი როდი ეკუთვნის რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივს. გასულ წელს მნიშვნელოვნად გადიდდა მისი სიმძლავრე. წელს კიდევ უფრო გაიზრდება მინერალური სასუქების წარმოება. საწარმოს მთავარმა ინჟინერმა **ი. მ. გრძელიძემ** თქვა, რომ გათვალისწინებულია ქარხნის შემდგომი გაფართოება, ამიაკისა და შარდოვანას (კარბამიდი) წარმოებათა მშენებლობა. უახლოესი ამოცანაა აგრეთვე გავაფართოოთ კაპროლაქტამის წარმოება, რომელიც საშუალებას მოგვცემს დამატებით გავადიდოთ მინერალური სასუქების გამოშვება.

ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სინთეზური ბოჭკოების წარმოების გადიდებაში, საექსპლოატაციოდ გადასცა კაპროლაქტამის წარმოება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობის დღეებში. ახლა მიმდინარეობს ნორმალური ტექნიკური რეჟიმის გამართვა.

ამხ. გრძელიძემ აღნიშნა, რომ საწარმოს რიტმულ მუშაობაზე გავლენას ახდენს შეფერხება ბუნებრივი გაზის მომარაგებაში, გაზის წნევის მერყეობა, ის რომ „საქენერგოს“ მიზეზით ხშირად ითიშება ენერგია, ორთქლი და სხვ. გადაჭრილი არ არის ქარხნის წყლით უზრუნველყოფის საკითხი. ცუდად არის რთული ქიმიური მოწყობილობის სათადარიგო ნაწილების მომარაგების საქმე. საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად გადაიჭრას საკითხი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკაში შეიქმნას ქარხანა, რომელიც დაამზადებს საჭირო სათადარიგო ნაწილებს.

ქუთაისელმა მშრომელებმა, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ეს გადაწყვეტილებანი მათ მიაჩნიათ ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთ მკაფიო გამოვლინებად. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **შ. ს. კობახიძემ** ილაპარაკა ქიმიური მრეწველობის განვითარებაზე და დაწვრილებით შეეხო ლითოფონის ქარხნის მუშაობას. ამ ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ქარხანა სოფლის მეურნეობას ამარაგებს ძვირფასი შხამქიმიკატებით — შაბიამნით, მრეწველობას — ლაქსაღებავებით. ლითოფონის ქარხნის მუშაკებმა აითვისეს ახალი სახეობის შაბიამნის წარმოება, რაც განსაკუთრებით საჭიროა მევენახეობისათვის. მიმდინარეობს მუშაობა, რომ ლითოფონის წარმოებისათვის გამოიყენონ ფლოტაციური ბარიტი.

გრძელდება ამ საწარმოს რეკონსტრუქცია. შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა კიდევ ერთი ეგრეთწოდებული თეთრი ღუმელი, რომელიც შესაძლებელს გახდის წლიწადში რამდენიმე ათასი ტონით გადიდდეს ლითოფონის წარმოება. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალ სიმძლავრეთა ამუშავება ძალიან ჭიანურდება სამშენებლო და საიჯარო ორგანიზაციების მიზეზით. ამან შეიძლება ხელი შეუშალოს საწარმოს წარმატებით შეასრულოს გადიდებული საწარმოო პროგრამა.

ამხ. კობახიძემ აქტივის მონაწილეებს აღუთქვა, რომ ქუთაისელი ქიმიკოსები ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მშენებელთა კოლექტივის მუშაობაზე ილაპარაკა ამ ტრესტის მმართველმა **ზ. ს. ჯაფარიძემ.** ეს ტრესტი ქიმიური მრეწველობის ობიექტებს აშენებს ქალაქ რუსთავში. მშენებელთა შრომას მაღალი შეფასება მისცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავიანთ მისალმებაში. ამან დიდი აღმავლობა გამოიწვია მშენებლებში, გააძლიერა მათი მზადყოფნა — ძალღონე არ დაიშურონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

1963 წლის გეგმა საერთო მაჩვენებელთა მიხედვით ტრესტმა გადაჭარბებით შეასრულა. 1964 წელს მშენებლებს დიდი მუშაობა მოელით — საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ ახალი სიმძლავრეები, საცხოვრებელი სახლები და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი. წელს მწყობრში უნდა ჩადგეს რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის კორდის წარმოება, ციანის მარილისა და მშრალი ყინულის წარმოება აზოტოვანი სასუქების ქარხანაში და სხვ.

სამშენებლო სამუშაოთა ამ ფართო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სამონტაჟო ორგანიზაცია არ ჩქარობს შეადგინოს დეტალური გრაფიკები, მოიმარაგოს მასალები და მოწყობილობა. დღემდე გარკვეული არ არის მთელ რიგ სამონტაჟო სამუშაოთა, მაგალითად, სინთეზური ბოჭკოს ქარხანაში კიდული სატრანსპორტო ხაზის მონტაჟის შესრულების ვადები. ჯერ კიდევ მოწესრიგებული არ არის სატიტულო სიებისა და მოწყობილობის კომპლექტაციის უწყებების დროზე წარდგენის საქმე.

№ 1 ტრესტს მალე 20 წელი შეუსრულდება. მისმა კოლექტივმა ბევრი რამ გააკეთა ამ ხნის მანძილზე, მაგრამ მომავალ წლებში გაცილებით მეტი უნდა გააკეთოს. თავის დროზე მისი ბაზები გათვალისწინებული იყო 7-10 წლისათვის და ახლა ისინი მთლიანად ამორტიზებულია. საჭიროა გადავწყვიტოთ მათი აღდგენისა და ახალი ბაზების მშენებლობის საკითხი. საჭიროა აგრეთვე ტრესტი აღიჭურვოს თანამედროვე მოწყობილობით. ამაზე დიდად იქნება დამოკიდებული ქიმიური მრეწველობის ობიექტების მშენებლობის წარმატებით დამთავრება.

ტრიბუნაზეა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **გ. ა. ანდრონიკაშვილი.** მან ილაპარაკა იმ დიდ როლზე, რომელიც ახალგაზრდობას ეკუთვნის ქიმიური ინდუსტრიის განვითარებაში, იგი შეეხო კომკავშირელთა მონაწილეობას რუსთავის ქიმიური გიგანტების მშენებლობაში, თქვა რომ საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობამ სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობა დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად გამოაცხადა.

ჩვენთვის გასაგებია, განაგრძო ორატორმა, რომ მარტო ენთუზიაზმი საქმისათვის როდი კმარა. თვითეული ახალგაზრდა მუშა, ტექნოლოგი, ინჟინერი უნდა გახდეს გონიერი, ყაირათიანი მეურნე, ეკონომისტი, იბრძოლოს მოწყობილობის სრული დატვირთვისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, თავის საწარმოში სულ ახალი რეზერვების გამონახვისათვის.

დიდ ქიმიას ადამიანები აშენებენ: ამიტომ ქიმიური ინდუსტრიისათვის კადრების მომზადება კომკავშირული ორგანიზაციების ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. საჭიროა მნიშვნელოვნად გავაფართოოთ კადრების მომზადება თვითეულ ქიმიურ საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. საჭიროა გავადიდოთ სპეციალისტების გამოშვება პროფტექნიკური განათლების სკოლებსა და სასწავლებლებში.

კომკავშირმა იკისრა კონტროლი გაუწიოს მინერალური სასუქების გადაზიდვასა და შენახვას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწყობებში. არ უნდა განიავდეს არც ერთი გრამი სასუქი! — ასეთია ახალგაზრდობის დევიზი. ათეულ ათასობით კომკავშირელი ებმება აგროქიმიური საყოველთაო სწავლების ლაშქრობაში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მინერალური სასუქების ყოველი კილოგრამი მოვახმაროთ მარცვლის, ჩაის, ყურძნის, ხილის მოსავლიანობის გადიდებას.

საქართველოს კომკავშირელები, ყველა ჭაბუკი და ქალიშვილი, მზად არიან ღირსეულად შეასრულონ მშობლიური კომუნისტური პარტიის ყოველი დავალება.

ჩვენი პარტია ქიმიური მრეწველობის განვითარებას პირველ პლანზე იმიტომ აყენებს, რომ იგი მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მძლავრი საშუალებაა, — თქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა **ზ. ბ. გელდიაშვილმა.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს საკმაო გამოცდილება აქვთ მინერალური სასუქების გამოყენებაში, ისინი არაერთხელ დარწმუნდნენ მათ ეფექტიანობაში ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, შაქრის ჭარხლისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში. უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა მინერალური სასუქების შემოზიდვა რესპუბლიკაში. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა მეურნეობა როდია საკმაოდ უზრუნველყოფილი მინერალური სასუქებით. სოფლის მეურნეობის წინაშე დიდ ვალშია ჩვენი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობა. მაგალითად, რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხანამ სოფლის მეურნეობას დააკლო რამდენიმე ათასი ტონა აზოტოვანი სასუქი. ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობაზე. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ საჭირო ღონისძიებანი უნდა განახორციელოს, რათა მინერალური სასუქების წარმოების გადიდებასთან ერთად უზრუნველყოფილი იყოს აგრეთვე რესპუბლიკისათვის გამოყოფილი სასუქების დროულად შემოზიდვა.

მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საერთოდ არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მინერალურ სასუქებს. იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც მინერალური სასუქები, „საქსოფლტექნიკის“ ბაზებში გამოწერილია და ფულიც გადახდილია, მაგრამ მეურნეობებს რატომღაც არ მიაქვთ. ეს დიდი ბოროტებაა, რასაც უნდა ვებრძოლოთ.

უნდა მოწესრიგდეს სასუქების შენახვის საქმე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ამისათვის საჭიროა ავაგოთ საწყობები და დროებითი ფარდულები მინდვრებში. სწრაფ გადაჭრას მოითხოვს აგრეთვე სასუქების შეტანის მექანიზაციის საკითხი. სასუქების ხელით შეტანა ხარისხიანი არ არის და დიდ დანაკარგებს იძლევა. მეურნეობებს ამ მხრივ დახმარება უნდა გაუწიოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“.

ამხ. გელდიაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სასუქების გამოყენება შევუხამოთ აგროტექნიკური კომპლექსისა და მორწყვის სრულ ციკლს. მან მოიყვანა მინერალური სასუქების არარაციონალურად, არაეკონომიურად გამოყენების მაგალითები, როდესაც არ ითვალისწინებენ ნიადაგის ქიმიურ შემადგენლობას, უარყოფენ აგროქიმიურ კარტოგრამებს.

ახლა, როდესაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დგება მიმდინარე წლის გეგმები, საჭიროა გავითვალისწინოთ მათში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების ყველა არსებული რეზერვი, რათა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **გ. ა. ჯაბუამ** აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გამოყენებას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის. 1965 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები გამოუშვებენ 60 პროცენტით მეტ პროდუქციას ქიმიური ბოჭკოსაგან, ვიდრე 1963 წელს. ქიმიური ბოჭკოს გამოყენება აბრეშუმის მრეწველობაში გაიზრდება 21 პროცენტით, ზედა ტრიკოტაჟის წარმოებაში — 39 პროცენტით, წინდებისა — 40 პროცენტით, ტრიკოტაჟის საცვლებისა — 2,7-ჯერ.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს დასახული აქვთ ამოცანა 1964-1965 წლებში გამოუშვან მილიონობით მეტრი პროდუქცია დამუშავების ქიმიური მეთოდების გამოყენებით, რაც გააუმჯობესებს მის გარეგნულ სახეს და გაზრდის სამომხმარებლო თვისებებს.

სამკერვალო მრეწველობაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ ლავსანის ქსოვილებს. გასულ წელს რესპუბლიკის სამკერვალო ფაბრიკებმა გადაამუშავეს 200 ათასი მეტრი ლავსანის ქსოვილი, მიმდინარე წელს კი ტანსაცმლის შესაკერად გათვალისწინებულია 500 ათას მეტრზე მეტი ამ ქსოვილების გამოყენება.

სამკერვალო მრეწველობაში მამაკაცის პიჯაკების, პალტოებისა და სხვა ტანსაცმლის შეკერვისას იყენებენ შეერთების დაწებების ხერხს. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია ტყავ-ფეხსაცმლის საწარმოებშიც ინერგება. მიმდინარე წელს რესპუბლიკაში უნდა გამოვუშვათ დაახლოებით 11 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, აქედან 3,5 მილიონი წყვილი შეიკერება ხელოვნური ტყავის შემსუბუქებული ლანჩით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ფეხსაცმლის წონას და მეტ ელასტიკურობას აძლევს მას.

ჩვენს დროში უაღრესად სწრაფად ვითარდება ქიმიური მეცნიერება. იგი ქმნის უამრავ ახალ ნივთიერებათა მიღების შესაძლებლობას. მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა მოვალეობა ის არის, რომ უფრო ფართოდ გამოიყენონ ეს მასალები, რაც საშუალებას მისცემს მათ მნიშვნელოვნად გაადიდონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გააუმჯობესონ მისი ხარისხი, შეამცირონ თვითღირებულება.

მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა **ვ. ე. ჯაყელმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვიან სოფლის მშრომელები სოფლის მეურნეობის მაღალხარისხოვანი და იაფი პროდუქციის მიღებისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა აგროქიმიის შემსწავლელი კურსები, სამმართველოსთან მუშაობს აგროქიმიური ლაბორატორია. მან დააზუსტა ნიადაგის რუკები, შეადგინა აგროქიმიური კარტოგრამები სოფლების ლიხაურისა და გურიანთის კოლმეურნეობებისათვის, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისათვის. დღემდე მინერალურ სასუქებს მეურნეობებში ისე იყენებდნენ, რომ არ ითვალისწინებდნენ საკვები ელემენტების მოცულობას ნიადაგებში. გამოირკვა, მაგალითად, რომ ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში ჩაისა და ციტრუსების 1636 ჰექტარი პლანტაციებიდან 994 ჰექტარს არ სჭირდება ფოსფორიანი სასუქები. ამასთან მრავალი წლის განმავლობაში ყურადღება არ ექცეოდა კალიუმიანი სასუქების გამოყენებას, რამაც გამოიწვია ნიადაგის კალიუმის „შიმშილი“. ახლა, როცა არის აგროქიმიური კარტოგრამა, საბჭოთა მეურნეობაში ზუსტად იციან, სახელდობრ რა მინერალური სასუქი სჭირდება პლანტაციის ცალკეულ ნაკვეთებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს სასუქების დროზე მიღებას. აზოტოვანი სასუქების სულ ცოტა 60 პროცენტი უნდა შემოზიდონ თებერვლის დამდეგისათვის, დანარჩენი კი — ივნისის შუა რიცხვებში. აზოტოვანი სასუქი კი შემოაქვთ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. ამასთან საწყობებში დიდი ხნით შენახვა ამცირებს მის ხარისხსა და ეფექტიანობას.

მინერალურ სასუქებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ორგანული სასუქების გამოყენებას, რომლებსაც ამ ბოლო დრომდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. მიმდინარე წელს გადაწყვეტილია სამმართველოს კოლმეურნეობებში შეიქმნას სპეციალური ნაკელსაცავები თვითეულ მეცხოველეობის ფერმაში.

სიტყვა ეძლევა ყვარლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანს **გ. ი. ზაუტაშვილს.** მან აღნიშნა, რომ ამ ბოლო დრომდე ბევრ მეურნეობაში ჯეროვნად არ აფასებდნენ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის მნიშვნელობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დასახა ქიმიის ფართოდ და გონივრული გამოყენების გზები იმ მიზნით, რომ გადიდდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

გასულ წელს სამმართველოს ზონაში ამინდის უაღრესად არახელსაყრელი პირობები შეიქმნა, რამაც გავლენა მოახდინა მარცვლეული კულტურებისა და ყურძნის მოსავლიანობაზე. მაგრამ ცალკეულ კოლმეურნეობათა მაგალითი გვიჩვენებს, რომ მინერალური სასუქების უნარიანი გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებდა სტიქიით გამოწვეულ ზარალს. მაგალითად, სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში მინერალური სასუქების რაციონალური გამოყენების შედეგად საშუალოდ ჰექტარზე მოყვანილია 62 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, ხოლო ცალკეულ უბნებზე 70-70 ცენტნერი. ეს მაშინ, როცა მეზობელ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავლიანობამ მხოლოდ 20 ცენტნერი შეადგინა. ეს იმით აიხსნება, რომ ორჯონიკიძის სახელობის არტელში პატივს არ სცემენ სასუქებს.

ახლა კოლმეურნეობების ყველა ხელმძღვანელი და პარტიული ორგანიზაცია მთავარ ყურადღებას აქცევენ მინერალური სასუქებისა და დაავადებისა და მავნებლებისაგან მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების ფართოდ გამოყენებას. სიღნაღის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა მიმართვის პასუხად 18 კოლმეურნეობასა და ერთ საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა აგროქიმიური ლაბორატორიები. ამხ. ზაუტაშვილმა აღნიშნა, რომ აგროქიმიური კარტოგრამების შესადგენად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სჭირდებათ სამეცნიერო დაწესებულებათა დახმარება.

მინერალური სასუქების წარმოებისათვის საჭირო სხვადასხვა ქიმიური ნედლეულის გამოყენების დარგში კვლევის შესახებ ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ნ. ა. ლანდიამ.** რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშაკებთან ერთად ინსტიტუტის თანამშრომლები მუშაობენ იმაზე, რომ მიიღონ სასუქები ქარხნის გამავალი გაზებისა და გამდინარე წყლების გაწმენდის გზით. ნავარაუდევია შეიქმნას მინერალური სასუქების სპეციალური ლაბორატორია. წარმოებს მუშაობა მანგანუმის აქტიური ორეანგის, ტორფის ორგანულ-მინერალური სასუქების, აგრეთვე მცენარეული ნედლეულისაგან სუფთა საპონინისა და სამანქანო ზეთების მისაღებად.

კარგი შედეგები მოიტანა მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითმა თანამშრომლობამ. მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაინერგა მეთოდი მაღალი სისუფთავის ელექტროლიზური მანგანუმის მიღებისა, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში დაინერგა ძვირფასი ქიმიური პროდუქტის — კალიუმის პერმანგანატის მიღების მეთოდი. ამის შედეგად ამ პროდუქტის თვითღირებულება შემცირდა 2,5-ჯერ, ხოლო საამქრომ მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება. აზოტოვანი სასუქების ქარხანაში დაპროექტებული კალიუმის პერმანგანატის დიდი საამქრო იმუშავებს იმ მეთოდით, რომელიც ინსტიტუტში შემუშავდა. ნახევრადგამტარების მრეწველობისათვის საჭირო მანგანუმის სუფთა მარილების საამქროს მუშაობას, რომელიც სულ მალე შეიქმნება ამავე საწარმოში, საფუძვლად დაედება ტექნოლოგია, რომელიც აგრეთვე შემუშავებულია ინსტიტუტში. საინტერესოა კვლევა ორგანულ ნივთიერებათა ელექტროლიზის დარგში, კერძოდ, ელექტროლიზის გზით ჰიდროქსილამინოსულფატის მისაღებად. ეს პროდუქტი საჭიროა კაპროლაქტამის წარმოებისათვის.

ორატორმა აღნიშნა, რომ წარმოებაში მეცნიერული კვლევის დანერგვა მთელ რიგ შემთხვევებში ფერხდება იმის გამო, რომ ინსტიტუტს არა აქვს ექსპერიმენტული ბაზა ნახევრად საქარხნო გამოცდისათვის. ინსტიტუტს სჭირდება სასტენდო დანადგარი, რომელიც აღჭურვილი იქნება სპეციალური ტიპური კვანძებით.

სიტყვას ამბობს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ი. ჩიაევი.** ოლქის მშრომელებმა, თქვა მან, ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება და სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია. რესპუბლიკის პარტიულმა აქტივმა დასახა ძირითადი ამოცანები, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას. ახლა მთავარია წარმატებით შევასრულოთ ეს ამოცანები.

ამხ. ჩიაევმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა შვიდწლედის მეხუთე წელს, შეეხო იმ მიჯნებს, რომლებიც მათ წინაშეა დასახული მიმდინარე წელს.

ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიურ საშუალებათა გამოყენებას.

სამხრეთ ოსეთში, განაგრძო ორატორმა, მაღალხარისხოვანი ბარიტის, ტყვიის, თუთიისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის დაუშრეტელი მარაგია. იმისათვის, რომ მთლიანად გამოვიყენოთ ოლქის წიაღისეული სიმდიდრე, საჭიროა უშუალოდ მოვკიდოთ ხელი მის გამოვლინებას, მოვახმაროთ იგი საბჭოთა ადამიანებს. ამხ. ჩიაევი სთხოვს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს გადაჭრან თალკის ქარხნის მნიშვნელოვნად გაფართოების საკითხი, შეისწავლონ სერპენტინიტების მოპოვებისა და აზოტმაგნიუმიან სასუქებად მათი გადამუშავების საწარმოთა მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხი.

სამხრეთ ოსეთის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს, თქვა დასასრულ მან, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმარონ, რათა წარმატებით განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა** საბოლოო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა გამოსვლა პარტიული აქტივის კრებაზე ცხადყოფს, რომ ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ამოცანა, რომელიც რესპუბლიკას აქვს დასახული, რეალურია და მას შეასრულებენ კიდევაც საქართველოს მშრომელები. მან გამოთქვა რწმენა, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, საწარმოთა და მშენებლობათა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მეცნიერები არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა წარმატებით შეასრულონ ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარების პროგრამა.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

(საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურ განყოფილებაში

აღვაფრთოვანოთ სოფლის მშრომელები ქიმიზაციის იდეებითა და პროგრამით

11 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურ განყოფილებაში გაიმართა სოფლის გაზეთების რედაქტორთა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განმარტონ, პროპაგანდა გაუწიონ და განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და მასალები.

ამ საკითხზე ინფორმაციები გააკეთეს გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა მ. დავითაშვილმა და სიღნაღის სარაიონთაშორისო გაზეთის „კოლმეურნის“ რედაქტორმა ვ. მჭედლიშვილმა.

ინფორმაციების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს წყალტუბოს სარაიონთაშორისო გაზეთ „დროშის“ რედაქტორმა დ. გაბრიაძემ, ზუგდიდის სარაიონთაშორისო გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორმა ი. ქორთუამ, ახალციხის სარაიონთაშორისო გაზეთ „წითელი დროშის“ რედაქტორმა გ. კაპანაძემ, გორის სარაიონთაშორისო გაზეთ „გამარჯვების“ რედაქტორმა შ. მახარობლიძემ, მახარაძის სარაიონთაშორისო გაზეთ „ლენინის დროშის“ რედაქტორმა ა. გურგენიძემ, ცხაკაიას სარაიონთაშორისო გაზეთ „კოლხეთის ცისკრის“ რედაქტორმა ლ. მოწერელიამ.

(საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალიო მირცხულავას დაბადების 60 წლისთავის გამო

ახალი ცხოვრების მომღერალი

ოდისღაც ბელინსკი წერდა: მხოლოდ ისტორიის ღრმა გარდატეხა შეარხევს პიროვნებას. იგი ქმნის სხვაგვარ მისვლას პოეზიის ძირითად თემებთან და მით გადაარჩენს ხელოვნებას მუდმივი გადამღერებისაგან. ახალი ეპოქის სული ყველაზე ახდენს გავლენას, — მათზე, ვინც ამ სულს იღებს და ახორციელებს, ვინც მას ებრძვის და ვინც პასიურად ემალება. მაგრამ შეუმჩნევლად კვდებიან ისინი, რომლებიც პასიურად ემალებიან ახალი დროის ქროლვას. პროტესტანტებს კიდევ შეუძლიათ ერთი ან ორი აფეთქებით აანთონ პოეზიის დიდიხნის წინათ ჩამქრალი პატრუქი. ახალ ხელოვნებას კი შექმნის ის, ვინც ცოცხლობს ერთი სიცოცხლით თავის ეპოქასთან.

ყოველი ახალი თაობის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს მისი პოზიცია ეპოქის სულთან.

ეს ამოცანა იდგა იმ თაობის წინაშე, რომელიც მეოცე საუკუნის ოციანი წლების მიჯნაზე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ეს იყო სიცოცხლით აღსავსე, მაძიებელი, ბობოქარი თაობა. რევოლუციური იდეები მათი ემბაზი და დავაჟკაცების წყარო იყო. ისინი მიისწრაფოდნენ ნოვატორობისაკენ და თავიანთ სავალ გზაზე ებრძოდნენ ყოველგვარ დრომოჭმულს, კონსერვატიულსა და არქაულს.

ზოგჯერ ამ თაობის სურვილსა და შინაგან შესაძლებლობას შორის შესამჩნევი იყო დისპროპორცია, ამ ფონზე აშკარად ჩანდა ესთეტიკური კულტურის უკმარობა. მათგან ჯერ კიდევ შორს იყო მხატვრული სიმწიფე და სიტყვის ოსტატობა. მაგრამ ახალგაზრდული მჩქეფარე ენერგია და მუდმივი სწრაფვა სიახლისაკენ თითქოს ანაზღაურებდა ამ დანაკლისს.

ამ თაობისათვის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა წარსული მემკვიდრეობის მიმღეობის საკითხი.

ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა ეჭვის ქვეშ დააყენა დიდი ილია ჭავჭავაძის თეზისი: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. წამოაყენეს საწინააღმდეგო პრინციპი, რომელიც ასე გამოიხატა: „აწმყო, წარსულის უარმყოფელი, არის მშობელი მომავალისა“.

ახალგაზრდობის მცირე ნაწილი რადიკალურად გაემიჯნა პირველის ბოჰემურ ნიჰილიზმს. მან მხარი დაუჭირა წარსულთან დამოკიდებულების ილიასეულ კონცეპციას და საკუთარი თავი გამოაცხადა წარსულის, აწმყოსა და მომავლის ხიდად.

პოეტის გული

ამ თაობის მეთაური იყო 19 წლის ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), ჩვენი დღევანდელი იუბილარი.

თუ გიყვარს აწმყო, მაგ საფასურად
გწამდეს წარსული, შთამომავალიც.
მალე იქცევა აწმყო წარსულად,
აწმყოდ იქცევა ხვალ მომავალი.

ჩვენ შემთხვევით არ გაგვიხსენებია ალიო მირცხულავას წლოვანება. ოცი წლის პოეტი უკვე საქვეყნოდ იყო ცნობილი არა მარტო ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. მისი ყოველი ლექსი თუ პოემა დაწერისთანავე დისკუსიებისა და კამათის ობიექტად იქცეოდა ხოლმე.

ალიო მირცხულავას შემოქმედებითი პათოსი ყოველთვის რევოლუციური რომანტიკა იყო. ის ადამიანებს, საგნებსა და მოვლენებს წარმოგვისახავს რევოლუციური რომანტიზმის ასპექტით. ეს ტენდენცია მკვეთრად მოჩანს არა მარტო ლირიკულ ლექსებში, არამედ პოემებშიც და დრამებშიც.

ლექსები: „ძველი მაზარა“, „ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“, „ლეგენდა სამგორზე“, „ავტოპორტრეტი“, „პოეტი კაპიტანი“ — რევოლუციური რომანტიკით არის აღსავსე. თუ პირველ ლექსში პოეტი ეალერსება ძველ მაზარას, როგორც საკუთარი სიცოცხლის ნაწილს, როგორც ძვირფას რელიკვიას, მეორე ლექსში სამშობლოსა და ხალხის სამსახურია წინა პლანზე წამოყენებული. მესამე ლექსში გაცოცხლებულია ძველი ლეგენდა სამგორზე. სამი ჭაბუკი შეუნელებელი ინტერესით მიისწრაფოდა სიყვარულისაკენ. ისინი უწყლო ველზე სირბილმა დაქანცა და დაიღუპნენ. მათ გვამებზე ამოიბურცა გორაკები.

ახალმა დრომ ხალხური გენიის მიერ შექმნილი ლეგენდა სიკვდილის სამეფოდან სიცოცხლის სამეფოში გადაიყვანა. მეოთხე ლექსი ეხება პოეტის მოვალეობას. თუ ყველაფერს წარმავალობის ბეჭედი აჩნევია და სიკვდილი მბრძანებლობს იმაზე, ვის წინაშეც აღტაცება და თაყვანისცემა შეგეძლო, მაშინ სად მოიდრიკოს მუხლი პოეტმა? ვის ემსახუროს? ვისი ხვედრი გაიზიაროს? ეს მძიმე კითხვები ისმება ლექსის ავტორის წინაშე და მოითხოვს პასუხს. იმავე ლექსში პასუხიც მოიპოვება: მხოლოდ სამშობლოსა და ხალხის უანგარო სამსახურს გადაჰყავს მოკვდავი პოეტი უკვდავებაში.

მეხუთე ლექსში ალიო მირცხულავას ანალოგიები გაჰყავს პოეტსა და საოკეანო გემის კაპიტანს შორის. ისე, როგორც ბობოქარ ოკეანეში თავისი საქმის უნივერსალური ცოდნითა და დიდი ნებისყოფით აღჭურვილი გემის კაპიტანი სარგებლობს ეკიპაჟის უსაზღვრო ნდობითა და სიყვარულით, ასევე უნდა იყოს პოეტი, თუ ის ნამდვილი შემოქმედია. მხოლოდ ამგვარ პოეტს არ წაეყრება დავიწყების ფერფლი დროსა და სივრცეში. და, მართლაც, პოეტის სიტყვა ყოველთვის იყო დროსთან ჭიდილი. მხოლოდ სიტყვას შეუძლია შეაჩეროს დრო, რადგანაც მხატვრულ სიტყვაში აღბეჭდილ სწრაფწარმავალ მოვლენას ენიჭება უკვდავება.

ამ პრობლემათა გადაწყვეტის დროს ჩვენი იუბილარი იმ დიდ მაგისტრალზე დგას, საიდანაც იწყება ერისა და კაცობრიობის არა მარტო სიყვარული, არამედ მოვალეობის გრძნობაც.

ლექსებში პოეტი პერმანენტულად უბრუნდება ხოლმე რევოლუციის პათოსს, რადგანაც მისთვის რევოლუცია თავისუფლებასთან ერთად არის ესთეტიკური ფენომენიც — ამაღლებულისა და მშვენიერის ფონზე.

საერთოდ, ალიო მირცხულავა მტრულად იყო განწყობილი ყოველგვარი განყენებული აბსტრაქციისადმი. მისთვის კონკრეტული ფუნქციის გარეშე მხატვრული აბსტრაგირება არ არსებობდა. მთლიანობას ის ყოველთვის აღწევდა კონკრეტულის განზოგადებით. პოეტს თავისი ინტერესების სფეროში მხოლოდ ისეთი მოვლენები შეჰყავს, რომელთა ფუნქცია ემორჩილება საზოგადოებრივი მოვალეობის დიდ გრძნობას. ამიტომ ალიო მირცხულავას პოეზიაში ყოველთვის მოქალაქეობრივი მოტივები სჭარბობენ.

მოქალაქეობრივი გრძნობის მაღალ შეგნებას ემორჩილება პოეტის ინტიმური ლირიკაც. საზოგადოებრივი და ინტიმური აქ ერთმანეთს ავსებენ და მათ შორის არასოდეს არ არის შესამჩნევი მცირეოდენი ბზარიც კი. თვით უინტიმესი გრძნობა სიყვარულისა საზოგადოებრივი ასპექტით არის წარმოდგენილი; და თუ ზოგჯერ დრამატული კონფლიქტები აწვალებენ პოეტის სულს, მათი მიზეზი ჩამარხულია საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალ შეგნებაში.

პოეტი თავის თავს ნებას აძლევს დაწყვიტოს სულის ყველა სიმი სატრფიალო ობიექტთან, თუ კი ის ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ მოვალეობას. ამ ნიადაგზე პოეტი ადვილად თმობს იმას, რომლის წინაშეც აღტაცება და თაყვანისცემა შეეძლო. რაღა თქმა უნდა, ეს არ ხდება მწუხარებისა და სულიერი ტკივილების განუცდელად, მაგრამ პოეტი აზრებს მათ დაძლევას, რადგანაც სიყვარული მისთვის მოვალეობაც არის. მოვალეობა და სიყვარული, ერთად აღებული, ხელს უწყობს ეროვნული ცხოვრების კერას — ოჯახს.

ასეთივე ასპექტით არის წარმოდგენილი ალიო მირცხულავას შემოქმედებაში საკუთარი ბავშვობისა და ყრმობის მარად დაუვიწყარი დრო.

გარემყარის პირველი შეცნობა დაბადების ადგილიდან იწყება. ის აძლევს სულიერ საზრდოს; ის ხდება ემბაზი და დავაჟკაცების წყარო. იგივე შთაბეჭდილებანი საფუძველი ხდება შემოქმედების ურთულესი პროცესისა.

ალიო მირცხულავას პოეზიაში ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით ბავშვობის დროის სითბოსა და ალერსს. დაწყებული დედის ლანდიდან და დამთავრებული ხობის ატეხილი ქალებით — მის შემოქმედებაში ცოცხლდება, როგორც სულის ორგანული ნაწილი, როგორც სახსოვარი ბავშვობის წლებისა.

როცა გონების თვალით ვკითხულობთ პოეტის ამ ციკლის ლექსებს, უნებურად ჩვენი ბავშვობაც გვაგონდება, მხატვრული ემოციით გაცოცხლებული. უმალვე ვიმსჭვალებით მადლიერების გრძნობით პოეტისადმი, რადგანაც მან აღადგინა ის, რაც დავიწყების ფერფლით იყო დაფარული და განდევნილი ხანდაზმულ შთაბეჭდილებათაგან.

იმავე ციკლის ლექსებში პოეტი ხშირად იგონებს ბავშვობის დროის გარდასულ აჩრდილებს, რომელთა ერთი ნაწილი დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა სამშობლოს ინტერესების დაცვის დროს, მეორე ნაწილმა ცარიზმის დამხობასა და რევოლუციის გამარჯვებას შესწირა თავი. მესამე ნაწილი ხნავდა და ვენახს უვლიდა, რათა ხელხვავიანი ყოფილიყო მათი დღე და სოფელი. მეოთხეს ჩაქუჩი ეჭირა ხელში და სახლს აგებდა. მეხუთე ნანას უმღერდა აკვანში ჩაკრულ ბავშვებს, რათა სიცოცხლის გაგრძელების საშუალება ჰქონოდა ხალხს. პოეტი აქაც ამჟღავნებს გონიერ ოპტიმიზმს, რომელიც ეგრე საჭიროა იმისთვის, ვისაც დიდი მიზნები აქვს განსახორციელებელი.

მირცხულავას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებს. იდეურად მტკიცე, ჰუმანური, პერსპექტიული და ხალხის ნდობით აღჭურვილი ახალგაზრდობის აღზრდის ინტერესები მოითხოვენ იმგვარ მწერალს, რომელსაც აქვს სათქმელი და მოეპოვება მისი მხატვრული წარმოსახვის საშუალებანი.

ჯერ კიდევ ადრე, როცა ალიო მწერლობაში პირველი ნაბიჯების გადადგმას იწყებდა, იგი გულმხურვალედ უმღეროდა რევოლუციურ ახალგაზრდობას, რომელსაც წილად ხვდა ახალი ქვეყნის აშენება. ის უმღეროდა სტუდენტებს, რომლებიც უშიშრად მიიკვლევდნენ მეცნიერებისაკენ მიმავალ ვიწრო და ძნელად აუღებელ ბილიკებს; ის ქმნიდა სიმღერებს პიონერებზე და ასწავლიდა ხალხის სიყვარულს.

და როცა დადგა გადამწყვეტი მომენტი ფაშისტური ლეგიონების წინააღმდეგ ბრძოლისა, მაშინ ალიო მირცხულავას ლექსები ჯარისკაცებივით ჩადგნენ მებრძოლთა რიგებში და მათ ბერლინში, ბრანდენბურგის კარიბჭესთან იზეიმეს გამარჯვება.

შემდეგ კი პოეტის მუზა მშვიდობის სადარაჯოზე იკავებს თავის საპატიო ადგილს. ჰუმანიზმის, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების პატივისცემა ავალებდა ალიო მირცხულავას ეთქვა საგალობელი მშვიდობის იდეალებისათვის.

მაგრამ ალიო მირცხულავას სიმღერა არასოდეს არ ყოფილა კოსმოპოლიტური. მას გულწრფელად უყვარდა და უყვარს ყველა მშრომელი, მაგრამ ყველაზე მეტად უყვარს თავისი მშობლიური ქართველი ხალხი, საქართველოს ლამაზი პეიზაჟი, მისი ფირუზი ცა, მაღალი ლურჯი მთები და მსოფლიოში უმშვენიერესი ხეობები. ეროვნული სიამაყე, ნაციონალური შეგნება, ჯანსაღი ტრადიციების დაცვა, თავისი ხალხის ინტერესების სუბიექტურ ინტერესებზე მაღლა დაყენება ალიო მირცხულავას გზას უკაფავს ჩვენი მოძმე ხალხების უსაზღვრო სიყვარულისაკენ, ჭეშმარიტი ინტერნაციონალური შეგნებისაკენ. ეროვნული გზით ზოგადკაცობრიულისაკენ — ასეთი იყო ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედის გზა. ალიო მირცხულავამაც შემოქმედების ეს გზა აირჩია და ამაშია მისი კეთილშობილება.

ასეთი ასპექტით არის განათებული ჩვენი იუბილარის პოეტური პრობლემატიკა, რომელსაც ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში თვით ცხოვრება აყენებდა მწერლის წინაშე. არ დარჩენილა არც ერთი კითხვა, რომლისთვისაც პოეტს პასუხი არ გაეცეს. შესაძლებელია არ დაეთანხმოთ ზოგიერთი საკითხის მხატვრულ გადაწყვეტაში, მაგრამ პატივისა და ქების ღირსია ავტორის სურვილი, რომ იყოს ჭეშმარიტი თანამედროვე შემოქმედი, თავისი დროის შვილი და ეპოქის სულთან ორგანული კავშირი ჰქონდეს.

ეს გარემოება კარგად ჩანს არა მარტო ლირიკულ, არამედ ეპიკურ პოეზიაშიც.

უნდა ითქვას, რომ ეპიკური პოეზიის კლასიკური ფორმა — პოემა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ისეთი სიძლიერით აღარ ჟღერს, როგორც ამას ჩვენი ეპოქის სული მოითხოვს, ახლა მხოლოდ გრძელი ლექსები იწერება ყოველგვარი ტიპიური ვითარებისა და ხასიათების მხატვრული წარმოსახვის მოუცემლად. სამწუხაროდ, ამგვარ გრძელ ლექსებს მათი ავტორები პოემას უწოდებენ.

ალიო მირცხულავა ეპიკურ პოეზიაში იცავს ტრადიციული პოემის არა მარტო გარეგან ფორმებს, არამედ მის ძირითად საყრდენს, რომ პოემა უნდა იყოს თავისი ეპოქის მხატვრული შესიმოგრაფი მოვლენებისა და სახეების გახსნის დროს.

ამ აზრით ალიო მირცხულავას „ენგური“ მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ქართულ, არამედ საბჭოთა კავშირის ხალხთა ეპიკურ პოეზიაში.

პოემაში ამბავი იშლება საქართველოს ერთი უმშვენიერესი ხეობის, ენგურის ხეობის მიდამოებში, ათასწლოვანი ტყეების ფონზე.

აქ არც სილურჯე, არც სიმწვანეა,
არც მზის პირი ჩანს, არც ცის
ტატნობი,
თან ისე ბნელა და სიწყნარეა,
რომ მიწის ბრუნვაც არის საგრძნობი.
მუდამ ბნელი და ხუთასწლიური
მოჩანს ფოთლების ცა დაღვრემილი,
ძირს ეცემიან ცვარნი ციურნი
ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავებივით.
მხოლოდ ხანდახან ქარის სისინი
ტყეს შეაძრწუნებს ხეთა ბარბაცით,
გადმოეშვება ციდან მზის სხივი
და ბნელეთს გასჭრის, როგორც
ალმასი,

ასეთი სიღრმითა და პასუხისმგებლობით იხსნება პოემა. ეს ამაღლებული პათოსი ბოლომდე მიჰყვება ამ ნაწარმოებს. ამაშია მისი ძალა და მნიშვნელობა.

ადამიანს არაფერი არ ამშვენებს ისე, როგორც თავისი პროფესიისადმი ფანატიკური სიყვარული. ეს გარემოება ყველაზე მეტად ჩანს ხელოვნებაში. ხელოვნების მიზანი ხელოვანისაგან მოითხოვს მთელ გულს, და ამ გულის ერთი მილიგრამიც არ უნდა დაიტოვოს თავისთვის. კიდევ მეტი: ის თხოულობს პოეტისაგან პირადი ცხოვრების დავიწყებას ხალხის ინტერესების სასარგებლოდ.

ალიო მირცხულავა გულწრფელად იხდის ვალს თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

დიმიტრი ბენაშვილი.

ხვალ, 13 იანვარს, თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტის **ალიო მირცხულავას** დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებას გააკეთებს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დ. ბენაშვილი.**

ალიო მირცხულავა

დიადი განთიადი

მე ვარ სიმღერა გამარჯვებისა,
მიყვარს ლექსების განავარდება,
წინ ვისწრაფოდით... მაგრამ
ჩვენი გზა
გადაშლილიყო განა ვარდებად?

ჩვენ გამარჯვება ბევრი გვქონია,
ხან დამარცხებაც იქნებ
გახსოვდეთ,
ჩემი ტკივილი გაგიგონიათ,
სასოწარკვეთა კი არასოდეს!

მე არ მჩვევია დარდი, ჩივილი,
თუმცა წვიმებით სწუხდნენ
სივრცენი,
ბრძოლა ყოფილა... და ის
ტკივილიც
იმ ქარიშხლიან ცეცხლში
ვიგრძენი.

ზღვა ბობოქრობდა ზვირთთა
ხმაურით,
შორს კი შუქურად ენთო მყობადი,
როგორც მღელვარე გემს
მეზღვაური,
მე ამ ცხოვრებას თან მივყვებოდი.

მაინც მხნე გულით, მტკიცე
იმედით
ვეგებებოდით დიად განთიადს,
ალთქმული ქვეყნის ბჭესთან
მივედით,
ჩვენი სიმართლე დროშად ანთია.

და ბრწყინავს, შრომით სავსე
დღესავით,
ჩემი სამშობლო შეუსადარი,
მზე დასტრიალებს შუქის
მთესავი.
სითბო, სიუხვე უფრო სად არი?

არის ქვეყანა გამორჩეული
და ეს ქვეყანა მხოლოდ ჩვენია,
მშობლიურ ალერსს ვარ
შეჩვეული,
ის უფრო მიყვარს და მირჩევნია,

წარსულის მწუხრი დამაღონებდა,
მზის მადლით მას რომ არ
დაველოცე,
სიმღერას მე რა შთამაგონებდა,
თუ არა ფიქრი საქართველოზე?

ვეტრფი მომავალს... თანაც
ვარდებად
გადაშლილია ახლა ჩვენი გზა,
მიყვარს ლექსებით განავარდება,
მე ვარ სიმღერა გამარჯვებისა.

სამშობლოს ჯარისკაცი

ჩვენ თვალწინ ჩაიარა საბჭოთა პოეტების რამდენიმე თაობამ. მათში ცოტას როდი მივაკუთვნეთ გამოჩენილი საბჭოთა პოეტის სახელი. ნამდვილად კი ყველაზე დიდი გამომცდელი პოეტის სახელისა დროა. და ახლა, როცა კრიტიკულად ვაფასებთ განვლილ გზას, უფრო ობიექტურად შევიძლია გავითვალისწინოთ წინა თაობათა ღვაწლი და მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში.

ჩვენი თაობის წარმოდგენაში ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) რევოლუციური რომანტიკის იმ დღეების პოეტია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას რომ დაუკავშირდა. ამავე დროს იმ განწყობილების გამომხატველი პოეტიც არის, რომელმაც გადაჭრით, მტკიცედ, უყოყმანოდ ამოუყენა მხარში თავისი პოეტური ბედი რევოლუციას. მისი პირველი პოეტური სტრიქონებიც ძველი და ახალი საქართველოს მძაფრი შეჭიდების სურათს გამოხატავდა. ახალი საქართველოს, რევოლუციური საქართველოს ტრიბუნი საბჭოთა საქართველოს თვალით ზომავდა და ასახავდა ჩვენი ცხოვრების ყოველ მოვლენას.

საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის მიერ გადახნულ ნიადაგზე აღმოცენდა ახალი ტიპის მწერლობა. ამ ახალ პოეტებში ერთი პირველთაგანი ალიო მირცხულავა იყო. მან ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოღვიძებული პოეტური ნიჭი საბჭოთა საქართველოს რომანტიკას მიუძღვნა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების ლიტერატურული ცხოვრება მეტად რთული და ჭრელი იყო. ამ სირთულეს ორი მიმართულება განაპირობებდა: ანტირეალისტური სკოლები მთელი თავიანთი მრავალსახეობით და ახალ საქართველოს მიმხრობილი რევოლუციური რეალისტური მიმდინარეობანი. საბჭოთა საქართველოს ნიადაგზე აღმოცენებული სოციალისტური ლიტერატურის პირველი ყლორტები ფართო საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას პოულობდა. და ალიო მაშაშვილიც მთელი თაობის სახელით აცხადებდა:

უნაყოფოა ცრემლი მთვარეზე,
დღეს ყველაფერი სინათლედ
იქცა.
ჰეი, თქვენ, ცაში ბევრს ნუ
დაეძებთ,
ძირს სიყვარულით დახედეთ
მიწას!

ასე გამოდიოდა ოციან წლებში ალიო მაშაშვილი ცხოვრებისაგან განდგომილი, ზეცაში მოხეტიალე მუზების წინააღმდეგ.

პოეტის მეამბოხე, მებრძოლი პათოსი შეითვისა და შეიყვარა ახალმა საქართველომ, პირველ რიგში იმ ახალგაზრდობამ, რომელმაც ამ ახალი საქართველოს შვილად გამოაცხადა თავი. სწორედ ლენინურმა კომკავშირულმა პირველმა გვარდიამ აღიარა ალიო მაშაშვილი ახალგაზრდული ქართული სიტყვის მეთაურად.

საბჭოთა ეპოქის პირველი თაობის ლენინური კომკავშირის იდეებისა და იდეალების უშუალო რომანტიკულ გამოხატვას ალიო მაშაშვილის ლექსებში ვპოულობდით. ეს უშუალობა და რომანტიკა გვხიბლავდა და გვიტაცებდა. მისი პოპულარობაც ამ გარემოებამ განაპირობა. ყოველივე ამან განსაზღვრა პოეტის დამოკიდებულება თანამედროვე და კლასიკურ მწერლობასთან.

ახალი საქართველოს, რევოლუციური საქართველოს სიყვარული განსაზღვრავდა პოეტის მხატვრულ კრედოს. ამიტომ არც ის არის შემთხვევითი, რომ ალიო მირცხულავა ავტორია არა მარტო ლირიკული ლექსებისა, არამედ ერთ-ერთი პირველი ვრცელი ეპიკური პოემისაც („ენგური“), რომელშიც პოეტმა საინტერესოდ და ნიჭიერად გამოხატა ინდუსტრიული საქართველოს პირველი ყლორტები. ხოლო ა. მაშაშვილის ნიჭიერად დაწერილი ლექსები „საქართველო“ და „სიმღერა საქართველოზე“ კომკავშირული თაობიდან გამოსული კაცის პირველი გაბედული სიმღერა იყო იმ ჭეშმარიტებაზე, რომ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა ყველა სხვა გრძნობაზე მაღლა დგას. ეს ლექსები ამშვენებენ ქართულ პოეტურ სიტყვას, როგორც საბჭოთა საქართველოს სიყვარულით შთაგონებული პატრიოტული ღაღადისი.

რევოლუციური საქართველოს ეს მგზნებარე ტრიბუნი ასევე ხმამაღლა აჟღერებდა თავის საბრძოლო ჰანგებს სამამულო ომის მრისხანე დღეებში. კვლავ ქუხდა, კვლავ მოწოდებად გაისმოდა მისი დაუოკებელი საბრძოლო განწყობილება საბჭოთა საქართველოს დასაცავად წარმოთქმული. ოციანი წლების ახალგაზრდა პოეტური თაობის მეთაური ორმოციანი წლების საქართველოს საომარი დღეების მემატიანეც გახდა. ეგეც ამშვენებს მის განვლილ პოეტურ გზას. ყოველივე ამის გამოა, რომ ალ. მაშაშვილი (მირცხულავა) მიგვაჩნია ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ერთ-ერთ თავის ადრინდელ ლექსში ალიო მაშაშვილმა თავის თავს პოეტი-კაპიტანი უწოდა. ოციანი წლების ქართულ პოეზიაში ა. მირცხულავა უთუოდ იყო საბჭოთა რევოლუციური პოეზიის კაპიტანი, და პოეტის ამ განცხადებას უნდა დავეთანხმოთ.

სერგი ჭილაია.

ქართული პლაკატის წარმატება

საბჭოთა ადამიანების სულიერ ცხოვრებაში, მათს იდეურ ფორმირებასა და წრთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური პლაკატი. პლაკატი ჩვენი ყოფის განუყრელი თანამგზავრია. ქარხნებისა და ფაბრიკების საამქროებში, დაწესებულებებსა და კლუბებში, პარკებსა და სამკითხველოებში, ბიბლიოთეკებში, ყველგან, სადაც კი საბჭოთა ადამიანი შრომობს და ისვენებს, ხატოვნად თუ ვიტყვით, პლაკატიც ცხოვრობს.

ამას წინათ მოსკოვში სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა მოაწყო პლაკატის მეორე საკავშირო გამოფენა. გამოფენის მრავალრიცხოვან ექსპონატებს შორის საქართველოდან წარდგენილი იყო ნ. მალაზონიას, ი. გორდელაძის, ო. ჯიშკარიანის, შ. კუპრაშვილის, ვ. გიორგობიანის, ს. კაშხიანის და დ. დუნდუას ნამუშევრებიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ საკავშირო გამოფენაზე, რომელიც ოთხი წლის წინათ — 1959 წელს მოეწყო ქალაქ კიევში, არც ერთი ქართველი მხატვარი არ მონაწილეობდა.

ახლანდელ გამოფენაზე წარდგენილი პლაკატების განხილვისას ქართველ მხატვართა ნამუშევრებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ ახლა ჩვენს რესპუბლიკაში გვყავს პლაკატისტთა საიმედო კადრები (ისინი გაერთიანებული არიან საქართველოს სსრ მხატვართა კავშირთან არსებულ პლაკატისტთა სექციაში, რომელსაც ნ. მალაზონია ხელმძღვანელობს).

გამოფენაზე განსაკუთრებული მოწონება ხვდა ოთარ ჯიშკარიანის ნამუშევარს **„სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე“.** სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის სამდივნომ მხატვარ ოთარ ჯიშკარიანს აღნიშნული პლაკატისათვის მიაკუთვნა მეორე ხარისხის დიპლომი. დიპლომს ხელს აწერს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი სერგეი გერასიმოვი.

ო. ჯიშკარიანის ნამუშევარი რამდენიმე თვალსაჩინო პლაკატთან ერთად დაბეჭდილია პლაკატის მეორე საკავშირო გამოფენის კატალოგშიც.


სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე

* * *

სურათზე: ო. ჯიშკარიანის პლაკატი „სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე“.

სახალხო ოპერის სცენაზე

სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა სახალხო საოპერო სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ალექსი პოზდნეევი.

სამოსწავლო დარბაზში ჟღერს დიდი კომპოზიტორების პ. ჩაიკოვსკისა და ზ. ფალიაშვილის მუსიკის მშვენიერი მელოდიები, სტუდიაში დასადგმელად მზადდება „ევგენი ონეგინი“ და „დაისი“.

ამ ორივე დადგმაზე მუშაობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რეჟისორი ლ. ჰედია, ცეკვებს ამზადებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი — ქორეოგრაფი ლ. ჩიხლაძე.

სტუდიაში გაერთიანებული არიან მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგები, ქალაქის მუშა-მოსამსახურენი, მუსიკისა და სიმღერის მოყვარულნი.

ნ. მიქაშავიძე.

ახალი დადგმა

ამბროლაურის სახალხო თეატრი ამ დღეებში ნიკორწმინდის, ჭრებალოს, ხიდიკრის, სორის კოლმეურნეებს ეწვია და უჩვენა თავისი ახალი დადგმა — შ. დადიანის „გეგეჭკორი“.

ა. კერესელიძე.

მეგობრობის კონცერტები

ბათუმი. (საქ. კორ.). რამდენიმე კონცერტი გამართა ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთათვის საქართველოს აგიტმხატვრული ბრიგადების რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულმა წითელწყაროს საქალაქო კულტურის სახლის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ. აგიტმხატვრული ბრიგადის პროგრამაში იყო სატირა, იუმორი, მუსიკალური ფელეტონები, ხალხური სიმღერები და ცეკვები. აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტები გამართა აგრეთვე ქობულეთის კულტურის სახლში.

მაღაროელთა კლუბში

მრავალფეროვანია ჩვენი მაღაროს კლუბის საქმიანობა. ნაყოფიერად მუშაობენ დრამატული, ლიტერატურული, ქორეოგრაფიული, ფორტეპიანოს, სასულე ორკესტრის, სახვითი ხელოვნების შემსწავლელი წრეები, სადაც 179 მაღაროელია გაერთიანებული.

მაღაროელთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა დრამატულმა კოლექტივმა, რომელსაც ტ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს. მან წელს დადგა ოთხი ახალი სპექტაკლი, აღადგინა ორი და მოამზადა ორი საკონცერტო პროგრამა.

დიდი მოწონება ხვდა ლ. სანიკიძის ტრაგედიის „მედეას“ დადგმას. ამჟამად ვამზადებთ ა. აფხაიძის კომედიას „სახელგატეხილნი“. როლების კარგი შესრულებით გამოირჩევიან მჭედელი ა. გაფრინდაშვილი, ცვლის უფროსი ბ. მაკარიძე, ტექნიკოსი ა. ახვლედიანი, ზეინკალი ზ. ბერაძე, ქვესადგურის მორიგე ც. გოგატიშვილი, მოსწავლეები ე. გაფრინდაშვილი, ე. სამხარაძე, მღებავი ჯ. ჩაჩანიძე და სხვ.

სპექტაკლებს გულთბილად ხვდებიან არა მარტო მეზობელი მაღაროების მუშათა კლუბებში, არამედ ჭიათურის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზეც.

ვ. ნეფარიძე.
ჭიათურა, ლენინის სახელობის მაღარო.

გმირული ოპერა რევოლუციაზე

22 აპრილს, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღეს, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე გაიმართება ვანო მურადელის ოპერა „ოქტომბერის“ პრემიერა. პრესის სააგენტო „ახალი ამბების“ კორესპონდენტმა ნინა ლეონტიევამ სთხოვა მიხეილ ჩულაკის მოეთხრო ოპერისა და დადგმის შესახებ.

◇ ◇

ვანო მურადელის ოპერა მიძღვნილია სოციალისტური რევოლუციის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე გმირული ეპიზოდის — ზამთრის სასახლის ოქტომბრის იერიშისადმი.

პირველად ეს ნაწარმოები საკავშირო რადიოში შესრულდა.

ოპერის პირვანდელ ვარიანტში კომპოზიტორმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანა, ვიდრე ამ ნაწარმოებს თეატრი დასადგმელად მიიღებდა. მურადელმა დიდი შრომისმოყვარეობა გამოიჩინა. უაღრესად მოკლე დროში მან გადააკეთა პარტიტურა და კლავირი, ამასთანავე იგი იძულებული იყო უარი ეთქვა ბევრ მუსიკალურ ნაწყვეტზე, რაც ესოდენ ძნელია კომპოზიტორისათვის, და ახლები დაეწერა. სამაგიეროდ, ამის შედეგად ოპერა უფრო კომპაქტური გახდა.

ლიბრეტოს ავტორია აწ განსვენებული პოეტი ვლადიმერ ლუგოვსკოი, ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა შეავსო და დააზუსტა ვიქტორ ვინიკოვმა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახე ცენტრალური სახეა ოპერაში. მურადელამდე ბევრი კომპოზიტორი შეეცადა შეექმნა ბელადის სახე საოპერო სცენაზე. მაგალითად, ლენინი მოქმედი პირია ტიხონ ხრენიკოვის ოპერა „ქარიშხალში“. იგი ამ ნაწარმოების მხოლოდ ერთ ეპიზოდში მონაწილეობს და კი არ მღერის, როგორც სხვა პერსონაჟები, არამედ ლაპარაკობს; ამ მომენტში არც სხვა მონაწილეები მღერიან და მუსიკაც მინელებულია. მაშასადამე, ეს სახე, გარკვეული აზრით, თითქოს გამოყოფილია საოპერო ჟანრიდან.

მურადელის ოპერაში კი ვლადიმერ ილიას-ძე მღერის. მის ბედთან დაკავშირებულია ნაწარმოების ყველა სხვა გმირის ბედიც.

მე მგონია, მურადელის ოპერა დაწერილია რუსული მუსიკალური კლასიკის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით. თავისი მელოდიურობით, არიოზული და საგუნდო სიმღერებით იგი ახლოს დგას მუსორგსკის, რიმსკი-კორსაკოვის და ბოროდინის ოპერებთან. „ოქტომბერის“ მუსიკალური ენა დიდად არის დავალებული აგრეთვე რუსული ხალხური საგუნდო და სოლო სიმღერებისაგან. ოპერაში მოისმის პირველი რევოლუციური სიმღერების გამოძახილი, რაც ნაწარმოებს დიდ სიმართლესა და დამაჯერებლობას ანიჭებს.

უაღრესად ტაქტიკურად, ფაქიზად და დიდი სიყვარულით არის დაწერილი კომპოზიტორის მიერ ლენინის პარტია.

ოპერის ღირსებად უნდა დავასახელოთ აგრეთვე მისი ნათელი მუსიკალური ენა. პარტიების შესწავლა ადვილია და ცოტა დროს მოითხოვს.

„ოქტომბერში“ მასობრივი სახალხო სცენები სჭარბობენ. ეს საშუალებას იძლევა შეიქმნას დიდი ისტორიულ-რევოლუციური ტილო არა მარტო მუსიკალურ პლანში, არამედ სანახაობითი აზრითაც. სწორედ ამიტომ ტყუილად როდი გვაქვს გადაწყვეტილი კრემლის ყრილობათა სასახლის დიდი სცენაც გამოვიყენოთ ოპერის დასადგმელად.

დამდგმელი რეჟისორი იოსებ თუმანოვი ფიქრობს გვიჩვენოს რევოლუციური პეტროგრადის და მუშათა დემონსტრაციების ფართო პანორამა.

სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ თეატრის საუკეთესო ძალები. ესენი არიან მსახიობები გალინა ვიშნევსკაია, თამარ მილაშკინა, ალექსანდრე ვედერნიკოვი, მარკ რეშეტინი, გალინა ოლეინიჩენკო და სხვები. ყველაზე პასუხსაგებ პარტიას — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პარტიას შეასრულებენ არტურ ეიზენი და გიორგი პანკოვი.

მიხეილ ჩულაკი,
რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დიდი თეატრის დირექტორი.

თვითმოქმედ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა თელავის კულტურის სახლში მოაწყო თვითმოქმედ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. აქ წარმოდგენილი ფერწერული და გრაფიკული ტილოები, რომელთა ავტორები უმთავრესად ახალგაზრდები არიან, მნახველთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

ახალგაზრდა შემოქმედთა შთაგონების წყაროა ჩვენი ქვეყნის სისხლსავსე ცხოვრება, კომუნიზმის დიდი მშენებლობანი, საქართველოს თვალწარმტაცი პეიზაჟები.

ყურადღებას იპყრობს გ. კიკნაძის, ზ. აბდუშელიშვილის, კ. შაყმაშვილის, ქ. ხუციშვილის, დ. ნავროზაშვილის, ჯ. ლანჩავაძის, ო. დათიშვილის ნამუშევრები.

შთაბეჭდილებათა წიგნში ყოველდღიურად ივსება ახალ-ახალი გვერდები. დამთვალიერებლები იწონებენ ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ამ ღონისძიებას.

მ. ზაალიშვილი.
თელავი.

ლიტერატურა და ხელოვნება

მოსკოვი სახავს უომო მსოფლიოს გზას

პანამაში სისხლი იღვრება

მშვიდობის დიდი ნობათი

საერთაშორისო საზოგადოებრიობის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის გამო

პარიზი. საბჭოთა კავშირმა, რომელმაც წინადადება წამოაყენა, რომ უარყონ ომი, როგორც ტერიტორიული უთანხმოების მოწესრიგების საშუალება, მჭევრმეტყველურად დაადასტურა, რომ იგი მზად არის განაგრძოს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, წერს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ვალდეკ როშე გაზეთ „ტერში" გამოქვეყნებულ სტატიაში.

ვალდეკ როშემ აღნიშნა, რომ მოსკოვის ინიციატივას დიდი ინტერესით შეხვდნენ ფრანგები მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი პოლიტიკური რწმენა, და წერს, რომ საბჭოთა წინადადებებმა ბიძგი უნდა მისცენ საფრანგეთში მძლავრი მოძრაობის გაშლას იმ მიზნით, რომ საფრანგეთი მშვიდობის გზას დაადგეს.

ნიუ-იორკი. ეს პირველი და, უნდა ვაღიაროთ, ნამდვილად მშვიდობიანი ინიციატივაა ახალ წელს, რომელიც ღრმა და გულმოდგინე ანალიზის ღირსია, — ამ სიტყვებით გამოხატა თავისი აზრი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შესახებ ალჟირის რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აბდელქადერ შანდერლიმ. იმის მიუხედავად, მოსწონს თუ არა ვინმეს წინადადებანი, რომლებსაც ეს წერილი შეიცავს, დაუმატა მან, ერთი რამ ცხადია: ინიციატივა იმდენად საარსებო საკითხებს შეეხება, რომ მათზე უარის თქმა არ შეიძლება.

დიპლომატები, რომლებიც აფრიკის სახელმწიფოებს წარმოადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ძალიან დაინტერესდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილით. ტერიტორიული პრობლემები კონფლიქტებისა და დაძაბულობის მუდმივი წყაროა.

გვინეის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიალო ტელიმ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ წინადადებას საზღვრების საკითხის გადაჭრისას ძალის გამოყენების უარის თქმის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აფრიკისათვის, რომელიც თავის დროზე კოლონიზატორებმა დააქუცმაცეს. აფრიკის სახელმწიფოთა ახლანდელი საზღვრები თვითნებური და უსამართლოა. მაგრამ მათი შეცვლა ძალით არ შეიძლება, თორემ მთელ აფრიკას ცეცხლი მოედება. ჩვენ გვინდა აფრიკის ერთობას მივაღწიოთ მშვიდობიანად, აფრიკის სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებისა და თანამშრომლობის განმტკიცების გზით.

საბჭოთა წერილში, თქვა დიალო ტელიმ, უდავოდ სწორია ის დებულება, რომ განთავისუფლებულ სახელმწიფოებს გადაეცეთ ტერიტორიები, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიურ უღელქვეშ არიან ან ოკუპირებულია უცხოელთა მიერ.

ლონდონი. ყოველკვირეული „ტრიბუნი" აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის დიდ მნიშვნელობას და აცხადებს, რომ დასავლეთმა საპასუხო ინიციატივა უნდა გამოიჩინოს. ასეთი ინიციატივა მისი სიტყვით, შეიძლება იყოს პაქტის დადება ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა შორის თავდაუსხმელობის შესახებ. „ეჭვი არ არის, რომ ეს საუკეთესო საშუალება იქნებოდა იმისათვის, რომ ცენტრალურ ევროპაში შეგვექმნა ზონა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ატომური შეიარაღებისაგან", — წერს ყოველკვირეული.

ჰელსინკი. პრემიერ-მინისტრ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი სახელმწიფოთა მეთაურებისადმი ღირსშესანიშნავი ისტორიული დოკუმენტია, თქვა ჟურნალ „ულკოპოლიტიიკას" რედაქტორმა ეინო ს. რეპომ. მიმაჩნია, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ მხოლოდ მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში არის შესაძლებელი კაცობრიობის პროგრესი. წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ, რომლის თანახმად სახელმწიფოები უარს იტყვიან ძალის გამოყენებაზე ტერიტორიული დავისა და სასაზღვრო საკითხების გადაჭრისას, მიზნად ისახავს ამ შესაძლებლობის შენარჩუნებას და განხორციელებას.

ინდოელი ხალხის კანონიერი მოთხოვნები

დელი, 10 იანვარი. (საკდესი). კალკუტის ათასობით მშრომელი გამოვიდა გუშინ დემონსტრაციაზე პროტესტის ნიშნად ამერიკის შეერთებული შტატების იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ მე-7 ფლოტის გემები გაგზავნონ ინდოეთის ოკეანეში, იუწყება დღეს ინდოეთის დეპეშათა სააგენტო. დემონსტრაცია, რომელიც დასავლეთ ბენგალიის კომუნისტთა ინიციატივით მოეწყო, გაიმართა ამერიკის კალკუტის საკონსულოსთან. დემონსტრაციის მონაწილეთა სახელით პარლამენტის წევრმა კომუნისტმა ინდრაჯით გუპტამ ამერიკელ დიპლომატებს გადასცა პროტესტის მემორანდუმი.

საკონსულოს შენობასთან გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელმაც რეზოლუციაში მოითხოვა დაუყოვნებლივ უარი თქვან სამხედრო გემების გაგზავნაზე ინდოეთის ოკეანის რაიონში.

თეთრი სახლის განცხადება

ვაშინგტონი, 10 იანვარი. (საკდესი). თეთრმა სახლმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა სთხოვა უილიამ ფოსტერს, განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს დირექტორს, სათავეში ჩაუდგეს შეერთებული შტატების დელეგაციას 18 ქვეყნის განიარაღების ჟენევის კონფერენციაზე.

ეს გადაწყვეტილება რომ მიიღო, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს მოლაპარაკება მიაჩნია ერთ-ერთ უაღრესად დიდმნიშვნელოვან ეტაპად იმ ღონისძიებებში, რომლებსაც შეერთებული შტატები ახორციელებენ მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მან თქვა: იმ მომენტში, როცა შეერთებული შტატები იწყებენ ამ მოლაპარაკებას ახალ წელს, არა აქვთ რაიმე ილუზია, რომ მიღწეულ იქნება სწრაფი და იოლი წარმატება. მაგრამ, განაცხადა მან, ჩვენ გვამხნევებს ამ ბოლო დროის მოვლენები, და ახალ შესაძლებლობებს მოველით შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების მტკიცე და მნიშვნელოვან ღონისძიებათა შესახებ შეთანხმების ძიებაში, რასაც ჩვენი ქვეყანა განაგრძობს.

ჯონსონმა ფოსტერს განუცხადა, პირადად მე მუდამ დიდ ინტერესს გამოვიჩენ მოლაპარაკებისადმი, როცა იგი დაიწყება.

პანამამ დროებით ურთიერთობა შეწყვიტა ამერიკის შეერთებულ შტატებთან

ნიუ-იორკი, 10 იანვარი. (საკდესი). პანამამ დღეს დროებით შეწყვიტა ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, პანამის მთავრობამ თავისი ელჩი გამოიწვია ვაშინგტონიდან და გამოაცხადა, რომ შეწყვიტა ურთიერთობა მას შემდეგ, რაც ამერიკის ჯარებმა დახვრიტეს ახალგაზრდათა დემონსტრაცია პანამის არხის ზონაში. დემონსტრაცია გუშინ საღამოს გაიმართა პანამის სუვერენიტეტის დარღვევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ამერიკის რამდენიმე შენობაზე არხის ზონაში აღმართულ იქნა ამერიკის ალამი, თუმცა არსებული შეთანხმებით მისი აღმართვა შეიძლება მხოლოდ პანამის ალამთან ერთდროულად. რამდენიმე ათასი კაცი ცდილობდა შესულიყო არხის ზონაში და იქ აღემართა პანამის ალამი. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდალმა კარიბის ზღვის რაიონში გენერალმა ო' მირამ გამოიძახა ჯავშნიანი მანქანები, რომლებმაც ცეცხლი დაუშინეს დემონსტრანტებს. წინასწარი მონაცემებით, დახოცილია 6 და დაჭრილია 75 პანამელი. პანამის მთავრობა არხის ზონაში სისხლისღვრისათვის ბრალს მთლიანად აკისრებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

პანამის არხის ზონაში სტუდენტთა დემონსტრაციის დახვრეტამ პანამის ხალხის აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. ახლა მთელს პანამაში მიმდინარეობს საპროტესტო დემონსტრაციები, იმ სისხლისღვრის წინააღმდეგ, რომლითაც ამერიკის ჯარები გაუსწორდნენ მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეებს.

იშვიათი შემთხვევა

უმაგალითო გრიგალი და სეტყვა დაატყდა თავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კაპის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილს. ციდან ჩამოვარდნილმა გოლფის ბურთის ხელა ყინულის ნაჭრებმა დააზიანა რკინიგზები და გზატკეცილები სატელეფონო ხაზები. ქალაქი სტეინსბურგი (მოსახლეობა 3 ათასი კაცი) სავსებით მოწყდა გარე სამყაროს.

ნაბიჯი გათიშვის გზაზე

რომი, 10 იანვარი. (საკდესი). იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ, რომელიც სხდომაზე შეიკრიბა მხოლოდ „ავტონომისტთა" (ნენის მომხრეები) შემადგენლობით, საბოლოოდ უარყო პარტიის მარცხენა ფრთის მოთხოვნა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას პარტიის საგანგებო ყრილობა. ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება მიაჩნიათ კიდევ ერთ ნაბიჯად პარტიაში გათიშვის გზაზე.

მემარცხენეთა აზრით, ნენის მომხრეებმა, მიიღეს რა პროგრამა, რომელიც ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს, დაარღვიეს სოციალისტი მინისტრების მთავრობაში შეყვანის პირობები, რაც ამას წინათ შეიმუშავა პარტიის ყრილობამ.

მემარცხენეთა პოზიციის მხარდასაჭერად დღეს გამოქვეყნდა პარტიის მოწოდება, რომელსაც ხელს აწერს 500 სოციალისტი — პროფკავშირული მოძრაობის აქტივისტები. მიმართვის ავტორები „სოლიდარობას უცხადებენ მემარცხენე სოციალისტების პოზიციებსა და არჩევანს".

იყიდეთ თვალები!

ქალაქ მანილის (ფილიპინები) ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში ოცი წლის ქალიშვილი ტერესიტა მერკადო შევიდა და ასეთი თხოვნით მიმართა:

— აცნობეთ თქვენს მკითხველებს, რომ თვალებს მივყიდი ყველას, ვინც კი მოისურვებს.

ტერესიტა ოჯახში შვიდი ბავშვიდან ყველაზე უფროსია. მან გადაწყვიტა თვალები გაყიდოს, რომ თავის ოჯახს ლუკმაპურის შოვნაში დაეხმაროს.

ცივილიზატორები... ავაზებით

ამ ფოტოსურათით ჟურნალმა „ილუსტრეიტედ ლონდონ ნიუსმა" საკმაოდ კარგად აჩვენა ინგლისის პოლიტიკა სამხრეთ როდეზიაში. როგორც ცნობილია, როდეზიისა და ნიასალენდის კოლონიურმა ფედერაციამ თქვენი ჭირი წაიღო. მაგრამ ინგლისელ იმპერიალისტთა ამ ნაშიერის დაშლით როდი დამთავრებულა იმ ხალხთა ტანჯვა, რომლებიც მის შემადგენლობაში შედიოდნენ. ინგლისელები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი ეკონომიური და სამხედრო პოზიციები მებრძოლი აფრიკის ამ დიდმნიშვნელოვან რაიონში.

სამხრეთ როდეზიაში მთავრობას სათავეში უდგას „თეთრკანიანი ადამიანი" უინსტონ ფილდი იმავე ტიპისა, რაც სამხრეთ-აფრიკელი ფერვურდია. იგი „განაგებს" აფრიკელებს, გზავნის დამსჯელ რაზმებს იმ პატრიოტებთან ანგარიშის გასასწორებლად, რომლებიც უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ამ ცოტა ხნის წინათ პოლიციის რაზმებმა ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს დაბა უმტალში. სამხრეთ როდეზიის დედაქალაქ სოლსბერიში ინგლისის „აფრიკელ მსროლელთა" ახალ-ახალი კონტინგენტები ჩადიან. ფოტოსურათზე აღბეჭდილია ინგლისის ქვეითი ჯარის მორიგი ქვეგანაყოფის ჩასვლის მომენტი. ერთ-ერთ ჯარისკაცს თასმით მიჰყავს ...ავაზა!

კოლონიზატორები უკვე მიჩვეული არიან აფრიკელებისათვის ნაგაზების მისევას. ახლა ისინი ადგილობრივი მოსახლეობის დასაშინებლად მოშინაურებულ ავაზებს იჩენენ: ორფეხა მტაცებელი ოთხფეხა მტაცებლებს იყენებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არდადეგების შემდეგ კვლავ სკოლისაკენ...

ფოტო ბ. დადვაძისა.

ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის 100 წლისთავი

ჩრდილოეთ კავკასიის მაგისტრალის რკინიგზელები ფართოდ აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — რკინიგზის გაყვანის 100 წლისთავს. საიუბილეო ზეიმში მონაწილეობისათვის, რომელიც 11 იანვარს მოეწყობა ქალაქ დონის როსტოვში, იქ გაემგზავრა ამიერკავკასიის რკინიგზის წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელსაც რკინიგზის უფროსის მოადგილე გ. ვ. ვარდოსანიძე მეთაურობს. (საქდესი).

სპორტი

ჰასტინგსის გმირების მონაწილეობით

ჰასტინგსის საახალწლო ტურნირის გმირები მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ტალი და მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ლონდონიდან ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში გაემგზავრნენ, სადაც ხვალ, 13 იანვარს დაიწყება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

ამ ტურნირს არა მარტო ისლანდიელები, არამედ მსოფლიოს ჭადრაკის მოყვარული საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით მოელის, რადგან მისი შემადგენლობა ძლიერია. ნ. გაფრინდაშვილს პირველად მოუხდება ბრძოლა გროსმაისტერების წინააღმდეგ. ესენი არიან მ. ტალი, ს. გლიგორიჩი და ფ. ოლაფსონი. გარდა ამ მოჭადრაკეებისა, ტურნირზე გამოვა ცხრა ისლანდიელი ოსტატი.

პირველი წრის შემდეგ

როგორც ვიუწყებოდით, საკავშირო ჩემპიონობაზე სამი გროსმაისტერის მატჩ-ტურნირის მორიგი პარტია ლ. შტეინსა და რ. ხოლმოვს შორის გადაიდო ლ. შტეინისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

გუშინ მოეწყო აღნიშნული პარტიის დამთავრება. ლ. შტეინმა მატერიალური და პოზიციური უპირატესობა ვერ გამოიყენა და პარტია ყაიმით დამთავრდა. ლ. შტეინს ქულანახევარი აქვს, რ. ხოლმოვს — ერთი ქულა, ბ. სპასკის — ნახევარი ქულა.

ფრენბურთის ბადეებთან

ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა უძლიერესი კოლექტივები განაგრძობენ ზამთრის საკავშირო ტურნირს. ეს არის წინასწარი შეხვედრები, რომელიც ხუთ ქალაქში მიმდინარეობს.

ლუგანსკში წარმატებით აიღო სტარტი თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდმა, რომელმაც ორი მატჩი მოიგო ზედიზედ და ლიდერად ითვლება. მეორე შეხვედრაში თბილისელებმა დაამარცხეს გროზნოს „სპარტაკი" ანგარიშით 3:2.

სამაგიეროდ, არასახარბიელოდ გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდები. სოხუმის „კოლმეურნესა" და თბილისის „ბურევესტნიკს" სტარტზე ორ-ორი დამარცხება აქვთ.

დაუმარცხებლად პირველ ადგილზე

ბაქოში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საკავშირო ზონალური შეჯიბრება კალათბურთში ჭაბუკთა და გოგონათა კოლექტივებს შორის. აქ გამოდიოდნენ მოსკოვის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სხვა გუნდები.

ჭაბუკთა შორის საერთო მოწონება დაიმსახურა ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა, რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო ორ ადგილზე გამოვიდნენ მოსკოვისა და აზერბაიჯანის კოლექტივები.

გოგონათა გუნდებს შორის უძლიერესები იყვნენ აზერბაიჯანელები. ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელები წარუმატებლად გამოვიდნენ.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ყვარლის რაიონის ცენტრი — დაბა ყვარელი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ყვარლის სადაბო საბჭო ყვარლის საქალაქო საბჭოდ.

ვინ მოიგო ავტომანქანები?

დაიწყო მოგებათა მასობრივი გაცემა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1963 წლის მეცხრე გამოშვების ლატარიის ტირაჟზე, რომელიც თბილისში გაიმართა 1963 წლის 25 დეკემბერს.

„მოსკვიჩი" ავტომანქანები მოიგეს გორის რაიონის სოფელ ბრეთის კოლმეურნემ მირიან ედილაშვილმა, თბილისელმა ერემ გულოსარიანმა, თეთრი წყაროს მცხოვრებმა თათოს მარკოსიანმა.

ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" მოიგო ქალაქ ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროს მუშამ.

პიანინო გაეგზავნა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის მცხოვრებს, სტუდენტ დილარ ქირიას.

რესპუბლიკის მშრომელებს მიეცათ და გაეგზავნათ ასობით პიანინო, მაცივარი, ტელევიზორი და სხვა ფასიანი ნივთები.

1964 წლის 25 იანვარს თბილისში შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრის შენობაში გაიმართება საქართველოს სსრ 1964 წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

ა. შტეინბერგი,

საქართველოს სსრ შრომის შემნახველი სალაროებისა და სახ. კრედიტის სამმართველოს ოპერატიული განყოფილების გამგე.

ვეტერანთა ინიციატივა

ამას წინათ თბილისის ოფიცერთა სახლში შეიკრიბნენ თბილისში მცხოვრები ყოფილი პარტიზანები. აქ იყვნენ საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძე, დ. იოსელიანი, ნ. სტაცენკო, ი. რეხვიაშვილი, ა. და ვ. ოსეფიანები, თ. აღლაძე, ნ. იაშვილი, ს. არუთინოვი და სხვები, სულ 35 კაცი.

მათი ინიციატივით თბილისის ოფიცერთა სახლთან ჩამოყალიბდა ყოფილ პარტიზანთა სექცია, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძე.

სექცია მიზნად ისახავს გააერთიანოს ყოფილი პარტიზანები, რომელთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში ათას კაცს აღემატება.

მომავალში სექცია შეიმუშავებს გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ყოფილ პარტიზანთა ახლანდელი საქმიანობის შესწავლას. გაიმართება საუბრები პარტიზანული ბრძოლების შესახებ. მოუვლიან იმ მებრძოლთა და პარტიზანთა საფლავებს, რომლებიც დაკრძალული არ არიან ძმათა სასაფლაოებში.

ვეტერან პარტიზანთა სექცია საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბდა.

კ. მაკარიძე.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჩვენი მკითხველები და კორესპონდენტები გვატყობინებენ

შემთხვევები

დაეხმარნენ თურქ მეზღვაურებს

ბათუმი. (საკ. კორ.). შავმა ზღვამ ხშირად იცის აბობოქრება. ასე იყო ამჯერადაც. თურქეთის ნაპირთან ხოფის ნავსადგურში „ემინის" ეკიპაჟი გემს ტვირთავდა. მეზღვაურები ჩქარობდნენ, რადგან ამინდი უარესდებოდა და აი უცებ ამოვარდა გრიგალი, ზღვა გამუქდა, განრისხდა. „ემინის" ეკიპაჟმა გემი შუა ზღვაში გაიყვანა, ვინაიდან ღია ნავსადგურში გემს აშკარა დაღუპვა ან ნაპირზე გარიყვა მოელოდა, გრიგალი სულ უფრო ძლიერდებოდა. მთებივით აზვირთებული ტალღები უზარმაზარ გემს ნაფოტივით აქანებდნენ და ჩრდილოეთისაკენ მიერეკებოდნენ. ხომალდს აშკარა ხიფათი მოელოდა. გამოსავალი ერთი იყო — დაცულ ნავსადგურში შესვლა. ყველაზე ახლოს კი ასეთი ნავსადგური მხოლოდ ბათუმი იყო. „ემინის" ეკიპაჟის წევრებისათვის ცნობილი იყო ასეთ დროს საბჭოთა ადამიანების მეგობრული დახმარება. სწორედ ბათუმის ნავსადგურში ჰპოვეს თავშესაფარი და დახმარება თურქეთის სანდალ „ხაკიბაბას" ეკიპაჟის წევრებმა შარშან შემოდგომაზე... და აი ახლაც „ემინმა" ბათუმის ნავსადგურს მიაშურა. მალე აქ ღუზა ჩაუშვა აგრეთვე თურქეთის სამმა სანდალმა „ახმად კაპიტანმა", „ჩორუხმა" და „კადირგამ". თურქმა მეზღვაურებმა სამი დღე დაჰყვეს ბათუმის ნავსადგურში. როცა ქარიშხალი ჩადგა, ზღვა დაწყნარდა, თურქეთის გემებმა კურსი თავიანთი სამშობლოსაკენ აიღეს.

ბათუმის ნავსადგურიდან გასვლისას თურქმა მეზღვაურებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ნავსადგურის მუშაკებს, და ყველა იმათ, ვინც საჭირო დახმარება აღმოუჩინა გაჭირვებაში ჩავარდნილებს.

მოსწავლე გადაარჩინეს

სოფელ გურგენიანის (ყვარლის რაიონი) რვაწლიანი სკოლის მეხუთეკლასელი ტ. კაპანაძე გაკვეთილების შემდეგ შინ ბრუნდებოდა. შემთხვევით ელექტროხაზი გაწყვეტილიყო და მავთულის ერთი წვერი გზაზე ეგდო. იგი მოსწავლემ ვერ შეამჩნია, და ფეხით შეეხო თუ არა გონება დაკარგა და მიწაზე დაეცა.

ეს ამბავი მახლობლად მყოფმა კოლმეურნე ეკ. ფანჩვიძემ შენიშნა. იგი არ დაიბნა. ჯოხი აიღო და ბავშვს მავთული მოაცალა. შემდეგ კი ხელოვნური სუნთქვით მოასულიერა.

ფანჩვიძემ მოსწავლის მშობლებისა და თანასოფლელთა გულითადი მადლობა დაიმსახურა.

ს. შაქარაშვილი.

მედიცინის სიახლენი

ოპერაცია ელექტრომაკრატლით

სამჯერ გაუკეთეს მარიამ შუმანოვას ოპერაცია კანის დაავადების გამო, მაგრამ ქსოვილები ზრდას განაგრძობდნენ. და მხოლოდ მეოთხე ოპერაციის შემდეგ, რომელიც ტერნოპოლის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტმა სიმონ შამრაევსკიმ გააკეთა, ავადმყოფობამ უკან დაიხია.

რით მოახდინა ტერნოპოლელმა ექიმმა ზემოქმედება ჯიუტ ავადმყოფობაზე?

არსებობს თანამედროვე მედიცინის ასეთი დარგი — ელექტროქირურგია. მაღალი სიხშირის დენის გამოყენება კოაგულაციის (შედედების) მოვლენას იწვევს ოპერირებულ ქსოვილებსა და სისხლძარღვებში და წყვეტს სისხლის ძლიერ დენას — ორგანიზმში ყოველი ქირურგიული ჩარევის ამ მტერს.

მაგრამ კოაგულაცია ხდება ჭრილობის არა მარტო კიდეებზე და სისხლძარღვებში დედდება და იღუპება ელექტროდენის ინტენსიური მოქმედების ზონაში მყოფი ყველა უჯრედი. სწორედ ეს თვისება გამოიყენა დოცენტმა შამრაევსკიმ. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ტერნოპოლის საოლქო ონკოლოგიურ დისპანსერში კანის სიმსივნეთა ელექტრობით მოშორების ათას ხუთასზე მეტი ოპერაცია გაკეთდა. და მხოლოდ 15 შემთხვევაში პირველადმა ოპერაციამ ვერ უშველა.

ელექტროქირურგია დიდი ხანია ცნობილი, მას იყენებენ საბჭოთა კავშირის ბევრ კლინიკაში და საზღვარგარეთ. ამასთან ორი ელექტროდიდან ერთი კეთდება პირის, ნემსის, დისკოს, მარყუჟის ან ბურთულას სახით, იგი აქტიურია, მეორე კი — ტყვიის ფართო ფირფიტა — პასიურია. ელექტროდიდან ელექტროდამდე დიდ მანძილს რომ გადის, დენი იფანტება, და ეს არასასურველ შედეგებს იწვევს.

ორივე ელექტროდი ერთნაირი რომ გაკეთდეს და საოპერაციო უბანს ერთმანეთის გვერდით დაედოს? — იფიქრა შამრაევსკიმ. — მაშინ დენი განშტოებას ვერ მოასწრებს, წარმოიშობა მოქმედების მკვეთრად შემოზღუდული ზონა.

ასე მიაგნო სიმონ შამრაევსკიმ ელექტროქირურგიის ახალ მეთოდს, რომელსაც იყენებს, მაგალითად, ჰიპერტროფიული სურდოს სამკურნალოდ, ხორხის ღრუში ოპერაციების დროს სისხლის დენის შესაჩერებლად, მან შეიმუშავა ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებით ტერნოპოლელი ქირურგები წარმატებით აკეთებენ კანზე სიმსივნის ოპერაციას და ორგანიზმის სიღრმეშიც კი იჭრებიან. ქირურგმა იური კომოროვსკიმ და მისმა კოლეგებმა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკაში „შამრაევსკის მაკრატლით" გააკეთეს აპენდიციტის 300 ოპერაცია და 100-მდე კუჭის რეზექცია. უსისხლო ოპერაციების ხანგრძლივობა მკვეთრად შემცირდა. ხოლო ოპერაციისშემდგომი პერიოდი ისე მიმდინარეობს, რომ არსებითი გართულებები არ ხდება და მისი ხანგრძლივობაც მნიშვნელოვნად შემცირდა.

გამომგონებელი ქირურგის მეთოდმა ფართოდ გაიკაფა გზა მედიცინის პრაქტიკაში.

ვლ. პოპოვი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

12 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — „შჩელკუნჩიკი" (დღისით), ლუჩია დი ლამერმური (საღამოს), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — მეტეხის ჩრდილში (დღისით, მე-5 აბონ. მე-2 წარმოდგენა, საღამოს, მე-17 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — აურზაური არაფრის გამო (დღისით, 25-ე აბონ. მე-2 წარმოდგენა), მე ვხედავ მზეს (საღამოს, მე-6 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — პალატა (დღისით და საღამოს მე-7 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მეგობრები (საღამოს).

კინო

12 იანვარი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), კომუნარების ბაღი, კოსმოსი, გაზაფხული — **თეთრი ქარავანი,** სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), საქართველო (მწვანე დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ნაკადული — **გამოუგონებელი ამბავი,** თბილისი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი — **ელექტრა,** კოლხიდა — **სტამბოლელი ხაზინადრის მემკვიდრეობა,** კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი, კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი — **ორი მებრძოლი.**

რადიო

13 იანვარი

პირველი პროგრამით

06.35 — სიმღერები მეგობრობაზე, 08.10 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები, 09.20 — კონცერტი. ა. მაჭავარიანის ნაწარმოებებიდან, 11.15 — დ. შოსტაკოვიჩი, მე-5 სიმფონია, 12.10 — საუბარი — „ქიმია სახალხო სიმდიდრის სამჭედლოა", 12.25 — მხატვრული თვითმოქმედი ანსამბლებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, 13.40 — ყაზახური სიმღერები, 17.15 — რ. ლაღიძის კამერული ნაწარმოებები, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.10 — ქართული სიმღერები, 18.45 — სიმღერები ზარა დოლუხანოვას შესრულებით, 19.30 — რადიონარკვევი — „მომჭირნეთა მეგობარი", 19.45 — რ. შტრაუსი. სიმფონიური პოემა, „ტილ ულენშპიგელი", 20.00 — სიმფონიური კონცერტის ტრანსლაცია, 23.30 — გასართობი მუსიკა.

ტელევიზია

12 იანვარი

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად" (ვარჯიშის კომპლექსი, რომელიც ყოველდღიურად გადაიცემა რადიოთი), 12.15 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „კრომის თავგადასავალი", 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.05 — კინონარკვევი „გზის დასაწყისი", 19.15 — გადაცემა ციკლიდან „რატომ ვამბობთ ასე", 19.30 — კინონარკვევი „მეგობრობის უნივერსიტეტი", 19.50 — საესტრადო კონცერტი „მათთვის, ვინც შინ დარჩა", 20.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის მუხა", 20.30 — კონცერტი, 21.00 — მხატვრული ფილმი „საჰაერო დარტყმა", 22.35 — ახალი ამბები.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი KOMУНИСТИ ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 პ/მ მდივნის — 9-72-80, ხმდივნის — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 00712

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.